განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება*

*ქედლების საბავშვო ბაღი*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *მაკა თოდაძე*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ნანა მაკარაძე*

კვების დარგში ექსპერტი: *მირანდა გორგილაძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *შოთა მახარაძე*

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ხულოს მუნიციპალიტეტი საბავშვო ბაღების გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 448047097 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | ქედლების საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო, რუსთაველის 13. |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | MES 1 26 0000230319,26/02/2026 |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 30-31 მარტი,2026 წელი. |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
| | |

| **6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ** |
|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა | | | | |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი,,თამაში'' 2-დან 5 წლამდე და შერეული ჯგუფებისთვის; სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათა კრებული. | ქართული | | 40 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |
| 4 | სასკოლო მზაობის პროგრამა | | | | |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღში ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 30-31 მარტს. დაწესებულება წინასწარ იყო ინფორმირებული ვიზიტის დღის წესრიგისა და განრიგის შესახებ, რაც უზრუნველყოფდა პროცესის ორგანიზებულად წარმართვას. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გამოცხადდა დროულად და ვიზიტის ყველა ეტაპი წარიმართა განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ გარემოში. დაწესებულებამ უზრუნველყო ექსპერტებისთვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა, ასევე, პროცესში ჩართული პირების სრულყოფილი მონაწილეობა. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, დაწესებულების შიდა და გარე გარემოს დათვალიერება, ასევე ინტერვიუები ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალთან.
შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფისა და დაწესებულების თვითშეფასების შედეგები უმეტესწილად დაემთხვა. განსხვავება გამოიკვეთა შემდეგ კომპონენტებთან მიმართებით: 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება, 4.3. მატერიალური რესურსი, 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი, 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება, რომლებთან მიმართებითაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა არსებული ხარვეზების ეტაპობრივად გამოსასწორებლად.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ ავტორიზაციისთვის მოსამზადებელ პერიოდში უზრუნველყო დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტების სისტემური ჩამოყალიბება, რაც მოიცავს ყველა ძირითად პროცესს და ქმნის ორგანიზაციული მართვის მყარ საფუძველს.
ქედლების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო გარემო ორგანიზებულია კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად, ჯგუფის ოთახები მოწყობილია ფუნქციურ ცენტრებად, რაც ხელს უწყობს ბავშვის აქტიურ ჩართულობასა და მრავალმხრივ განვითარებას.
დაწესებულებაში დანერგილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პრაქტიკა, პერსონალი სისტემატურად აწარმოებს ბავშვთა პორტფოლიოებს და დაგეგმავს ინდივიდუალიზებულ აქტივობებს დაკვირვების შედეგების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებას.
აღსანიშნავია ოჯახისა და თემის აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში. დაწესებულება ეფექტიანად იყენებს თემში არსებულ რესურსებს (სკოლა, ბიბლიოთეკა, ამბულატორია და სხვ.), ხოლო თემის მხარდაჭერით განხორციელდა ბაღის ეზოს მოწყობა და საბავშვო

ატრაქციონებით აღჭურვა, რაც დამატებით აძლიერებს საგანმანათლებლო გარემოს ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკები უზრუნველყოფს კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას და ქმნის ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს.

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>*სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა*<br><br>ადრეული განათლების კურიკულუმი,,თამაში'' 2-დან 5 წლამდე და შერეული ჯგუფებისთვის;<br>სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათა კრებული. | | |
|---|---|---|
| **2. კურიკულუმი** | **☒ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება**<br>**☒ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| **ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.2. პროცესების მართვა

4.3. მატერიალური რესურსი

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის შედეგებისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მისია ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპს და განსაზღვრავს ორგანიზაციის როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეს.
მისიაში ასახულია ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა, უსაფრთხო, ინკლუზიური და არაძალადობრივი გარემოს უზრუნველყოფა.
აღნიშნული მიდგომა პრაქტიკულად რეალიზდება ქედლების საბავშვო ბაღში, სადაც საგანმანათლებლო პროცესი ორგანიზებულია ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებზე დაყრდნობით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია ხედვისა და ღირებულებების პერიოდული გადახედვა თვითშეფასების შედეგების საფუძველზე, რათა უზრუნველყოფილი იყო მათი აქტუალობა და პრაქტიკასთან შესაბამისობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისიის საფუძველზე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, რომლებიც ასახავს ხარისხიანი ადრეული განათლების უზრუნველყოფის, ბავშვის კეთილდღეობის, ინკლუზიური გარემოს შექმნისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტებს.

ხედვა და ღირებულებები თანხვედრაშია 2023 წლის ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევით განსაზღვრულ მიდგომებთან და წარმოადგენს როგორც გაერთიანების, ისე ქედლების საბავშვო ბაღის საქმიანობის მიმართულების განმსაზღვრელ საფუძველს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტების რეალურ შესაბამისობას ორგანიზაციის საჭიროებებთან.

დოკუმენტების შემუშავება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის ფორმატში, შესაბამისი ბრძანებისა და სხდომების ოქმების საფუძველზე. პროცესში ჩართულნი იყვნენ ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალის წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივ ხედვასა და შეთანხმებულ მიდგომებს.

ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია პერსონალთან და მშობლებთან, რაც ხელს უწყობს მათი ინფორმირებულობისა და თანამონაწილეობის ზრდას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაინტერესებული მხარეების (მშობლების/თემის წარმომადგენლების) ჩართულობის ფორმალური დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, დასწრების სიები), რაც მომავალში უზრუნველყოფს პროცესის მტკიცებულებით გამყარებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის შედეგებისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან.

საჯარო შეხვედრის ფარგლებში პროცესში ჩართულნი იყვნენ პერსონალი, მშობლები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, სადაც განხორციელდა დოკუმენტის წარდგენა და უკუკავშირის მიღება. აღნიშნული მიუთითებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფაზე.

ამასთანავე, მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ქედლების საბავშვო ბაღის საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯარო ხელმისაწვდომობას და გამჭვირვალობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა
სასურველია მისიის, ხედვისა და ღირებულებების ელექტრონული ფორმით (მაგ. ვებგვერდზე ან სოციალური მედიის ოფიციალურ გვერდზე) განთავსება, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასება (დანართი №19);
2. ა(ა)იპ ხულოს ბაგა-ბაღების გაერთიანების მისია, ხედვა და ღირებულებები (დანართი №1);
3. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N08 „ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ (დანართი №2);
4. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი №2);
5. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N-01 „ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ (დანართი №3);
6. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი №3);
7. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (დანართი №2);
8. სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები;
9. საჯარო შეხვედრის ოქმი მისიის, ხედვისა და ღირებულებების განხილვის შესახებ;
10. დასწრების ფურცელი (პერსონალი, მშობლები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები);
11. ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალი);
12. ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (საინფორმაციო დაფის ფოტო-მტკიცებულება, მისიის/ხედვის/ღირებულებების გაზიარების ამსახველი მასალები).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.1. დაწესებულების მისია | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის შედეგებისა და თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება სისტემურად და რეგულირდება დამტკიცებული დოკუმენტით „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ერთიან მეთოდოლოგიურ ჩარჩოს.

მეთოდოლოგია მოიცავს დაგეგმვის ციკლურობას და პერიოდულობას, სტრატეგიული გეგმის გადახედვა ხორციელდება 5-წლიანი პერიოდის განმავლობაში განსაზღვრული სიხშირით, ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება ნახევარწლიურად. ასევე, გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტული მექანიზმები, პასუხისმგებელი სუბიექტები და ანგარიშგების ფორმები.

დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რაც შეესაბამება მონაწილეობის პრინციპს და ხელს უწყობს გადაწყვეტილებების გაზიარებასა და პროცესის გამჭვირვალობას. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რომელიც ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესის სისტემურობას, მონაცემებზე დაფუძნებულობასა და ჩართულობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გაერთიანებაში შემუშავებულია 2026–2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც წარმოადგენს გრძელვადიან, ციკლურ დოკუმენტს და სრულ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების სისტემასთან.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს დაწესებულების განვითარების ძირითად მიმართულებებს და განსაზღვრავს 6 სტრატეგიულ მიზანს, რომლებიც მოიცავს როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს (კურიკულუმი, ინკლუზიური განათლება), ისე გარემოსა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ ასპექტებს (უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა, კვება და სანიტარია). თითოეული მიზანი დეტალურად არის დაშლილი ამოცანებად და ქვეამოცანებად, რაც უზრუნველყოფს მიზნების მიღწევის ეტაპობრივ და მართვად პროცესს.

გეგმა ეფუძნება დაწესებულების საჭიროებების ანალიზს, თვითშეფასების შედეგებსა და არსებულ გამოწვევებს, რაც უზრუნველყოფს მის რეალისტურობასა და რელევანტურობას. აღნიშნული სრულად შეესაბამება სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპებს, რომელიც განსაზღვრულია სტანდარტში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ დამტკიცებულია 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის განხორციელების ინსტრუმენტს. სამოქმედო გეგმა სრულ შესაბამისობაშია სტრატეგიულ მიზნებთან და ეფუძნება როგორც სტრატეგიულ დოკუმენტს, ისე დაწესებულების წლიურ თვითშეფასებას.

გეგმა მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, რომლებიც მიმართულია სტრატეგიული მიზნების მიღწევისკენ. თითოეული აქტივობა დაკავშირებულია შესაბამის ამოცანასთან, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის ლოგიკურ თანმიმდევრობასა და მიზნობრიობას.

ამასთან, სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია დაწესებულების რესურსები, საჭიროებები და პრიორიტეტები, რაც უზრუნველყოფს მისი განხორციელებადობის მაღალ ხარისხს და ეფექტიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................................

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია სტრუქტურირებულ ცხრილურ ფორმატში და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, რაც განსაზღვრულია სტანდარტით: სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და საჭირო რესურსები.

გეგმაში წარმოდგენილი ინდიკატორები არის კონკრეტული და გაზომვადი, რაც შესაძლებელს ხდის შესრულების პროგრესის შეფასებას. ვადები რეალისტურადაა განსაზღვრული, ხოლო პასუხისმგებელი პირები და რესურსები მკაფიოდ იდენტიფიცირებულია.

მნიშვნელოვანია, რომ რესურსების დაგეგმვა მოიცავს როგორც ადამიანურ, ისე ფინანსურ და მატერიალურ ასპექტებს, რაც უზრუნველყოფს აქტივობების განხორციელების რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რომლებიც გაწერილია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში“.

დოკუმენტი განსაზღვრავს მონიტორინგის პერიოდულობას, შეფასების ფორმებს, პასუხისმგებელ პირებსა და ანგარიშგების პროცესს. სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ახლად დამტკიცებულ დოკუმენტს, შესაბამისად მისი მონიტორინგის ციკლი დაგეგმილია განსაზღვრული პერიოდულობის შესაბამისად. ამასთან, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება უკვე გაწერილია კონკრეტული ვადებით (შუალედური და წლიური შეფასება), რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურ განხორციელებას.
მეთოდოლოგიური ჩარჩო სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და ქმნის საფუძველს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანი განხორციელებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ განსაზღვრულია მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გამოყენებისა და საჯაროობის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია შესაბამის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში.
დოკუმენტის მიხედვით, მიღებული შედეგები აისახება ანგარიშებში, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული მხარეებისთვის (მათ შორის საინფორმაციო დაფის მეშვეობით), ხოლო ანალიზის საფუძველზე ხორციელდება გეგმების კორექტირება და შემდგომი განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს უწყვეტ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მართვას და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მიმდინარეობს განსაზღვრული ციკლის ფარგლებში.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასება (დანართი №19);
2. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის ბრძანება N08 „ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" (დანართი №2);
3. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი №2);
4. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025 წლის 2 დეკემბრის ბრძანება N-01 „ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ" (დანართი №3);
5. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა (დანართი №3);
6. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026 წლის 20 თებერვლის ბრძანება Nº17, 98260511 „ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სამოქმედო გეგმის წესის დამტკიცების შესახებ" (დანართი №3);
7. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2026 წლის სამოქმედო გეგმა (დანართი №3);
8. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (დანართი №2);
9. სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმები;
10. ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციული პერსონალი);
11. ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სამუშაო ვერსიები, დაგეგმვის პროცესის ამსახველი მასალები).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის; სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათა კრებული.

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის შედეგებისა და ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალთან და გაერთიანების მეთოდისტთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ქედლების საბავშვო ბაღში

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება განსაზღვრულია წინასწარ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმ(ებ)ის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ძირითად დოკუმენტს.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის განხორციელება გათვალისწინებულია შემდეგი კურიკულუმების საფუძველზე: პროგრამის სახე - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა; კურიკულუმის დასახელება - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის; სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათა კრებული.
კურიკულუმის შერჩევისა და გამოყენების პროცესი რეგულირდება დოკუმენტით - „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია
ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 8 დეკემბრის №04 ბრძანებით, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია კურიკულუმის შერჩევის, დანერგვისა და გამოყენების პროცედურები საგანმანათლებლო პროცესში.
დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;

გ) კურიკულუმის შერჩევა;

დ) კურიკულუმის დამტკიცება.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის შერჩევის კრიტერიუმებს, დანერგვის ეტაპებსა და მის გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის საფუძვლად, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და სისტემურობას. ამასთან, შერჩეული კურიკულუმი წარმოადგენს წინასწარ შერჩეულ და დამტკიცებულ საგანმანათლებლო ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა სხვადასხვა დროით ჭრილში, რაც ქმნის საფუძველს კურიკულუმზე დაფუძნებული და სტანდარტთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისთვის.
ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერებისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება განსაზღვრულია კურიკულუმით დადგენილი მიდგომების შესაბამისად, ხოლო დაგეგმვის პროცესი ეყრდნობა კურიკულუმის სტრუქტურასა და პრინციპებს.
ზემოაღნიშნული ქმნის საფუძველს კურიკულუმზე დაფუძნებული, სისტემური და თანმიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ უზრუნველყოს კურიკულუმის დასახელების ერთიანი ფორმით გამოყენება ყველა შესაბამის დოკუმენტსა და მასალაში, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტაციის თანმიმდევრულობასა და ტერმინოლოგიურ ერთგვაროვნებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის შედეგებისა და ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალთან და გაერთიანების მეთოდისტთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ქმნის საფუძველს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევისთვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის განხორციელება გათვალისწინებულია შემდეგი კურიკულუმების საფუძველზე: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა; ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-5 წლამდე და შერეული ჯგუფებისათვის; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ აქტივობათა კრებული, რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ყველა ძირითად სფეროს – შემეცნებით, სოციალურ-ემოციურ, ფიზიკურ და სენსორულ, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების, ასევე დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის განვითარებას.

კურიკულუმის შერჩევის საფუძვლები და მისი შესაბამისობა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტთან განსაზღვრულია დოკუმენტით „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 8 დეკემბრის №04 ბრძანებით, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის შერჩევა ეფუძნება, მათ შორის, მის შესაბამისობას სახელმწიფო სტანდარტთან, ბავშვის განვითარების შედეგებზე ორიენტირებულობას, ასევე თემის საჭიროებებისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას.

კურიკულუმის შინაარსი მოიცავს ბავშვის განვითარების ყველა ძირითად სფეროს და გათვალისწინებული აქტივობები და მიდგომები მიმართულია ბავშვის ჰოლისტური განვითარების უზრუნველყოფისკენ, რაც ხელს უწყობს იმ უნარებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომლებიც განსაზღვრულია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით.
დაწესებულების თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი ორიენტირებულია ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე და უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.
დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება ეყრდნობა განვითარების სფეროებზე დაფუძნებულ აქტივობებს. ინტერვიუს შედეგები მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ორიენტირებულია კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებსა და შედეგებზე, რაც ქმნის საფუძველს სტანდარტთან შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის შედეგებისა და ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალთან და გაერთიანების მეთოდისტთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრულია თამაშზე დაფუძნებული აღზრდისა და განათლების პრინციპის შესაბამისად, რაც წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროცესის ძირითად მეთოდოლოგიურ მიდგომას და ქმნის საფუძველს ბავშვის აქტიური ჩართულობისთვის სწავლისა

და განვითარების პროცესში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი განვითარების პროცესში.

„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის“ თანახმად, რომლითაც განსაზღვრულია კურიკულუმის როგორც შერჩევის, ასევე გამოყენების პრინციპები, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ბავშვის ინტერესები, გამოცდილება და აქტიური მონაწილეობა. კურიკულუმის შინაარსი მოიცავს ბავშვის ინტერესებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს, რის საფუძველზეც გათვალისწინებულია მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის აქტიურ ჩართულობას, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობასა და ინიციატივის გამოვლენას. აღნიშნული ქმნის პირობებს, რომ ბავშვმა საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ააგოს ცოდნა და განივითაროს დამოუკიდებლობა, შემოქმედებითი აზროვნება და სოციალური უნარები.

ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერებისა და წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება განსაზღვრულია თამაშზე დაფუძნებული მიდგომების შესაბამისად, ხოლო ინტერვიუს შედეგები მიუთითებს, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია ბავშვის ინტერესები და აქტიური მონაწილეობა.

ზემოაღნიშნული ქმნის საფუძველს თამაშზე დაფუძნებული, ბავშვის აქტიურ მონაწილეობაზე ორიენტირებული, თანმიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისთვის, რაც შეესაბამება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობას და ქმნის საფუძველს მათი ჩართულობისთვის ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესშირასაც ადასტურებს ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის შედეგებისა და ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალთან და გაერთიანების მეთოდისტთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი.
დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებულია ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან რეგულარული კომუნიკაცია, ინფორმაციის გაზიარება ბავშვის განვითარების პროცესის შესახებ, მშობლების ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში, თემატური შეხვედრების ორგანიზება და თემის რესურსების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში. აღნიშნული მიდგომები ქმნის ერთიან საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც აერთიანებს ბავშვს, ოჯახსა და თემს და ორიენტირებულია მის ინტერესებსა და საჭიროებებზე.
ამასთან, ოჯახის ჩართულობის აღნიშნული ფორმები უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების პროცესის თანმიმდევრულობას და ქმნის ერთიან, ბავშვის ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს.
ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მასალებისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ ოჯახის ჩართულობის შესაძლებლობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისას, რაც ქმნის პირობებს მშობლების მონაწილეობისთვის და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად.
ზემოაღნიშნული ქმნის საფუძველს ოჯახსა და თემთან თანამშრომლობის გაძლიერებისთვის და უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების პროცესის ერთიანობას ოჯახს, თემსა და საგანმანათლებლო გარემოს შორის, რაც პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს და ქმნის საფუძველს ბავშვის მრავალმხრივი განვითარების უზრუნველყოფისთვის.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის ფარგლებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო აქტივობები, მათ შორის თამაშზე დაფუძნებული სწავლა, შემოქმედებითი, კვლევითი და სოციალური აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროების მხარდაჭერას. ამასთან, გათვალისწინებულია როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობის ფორმები, რაც პასუხობს ბავშვთა განვითარების სხვადასხვა საჭიროებებს.

საგანმანათლებლო გარემო ორგანიზებულია ფუნქციური ზონების/ცენტრების პრინციპით (მაგალითად: ხელოვნების, კონსტრუქციული, დრამატული, წიგნიერების, შემეცნებითი აქტივობების სივრცეები), რაც ქმნის შესაძლებლობას მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებისა და ბავშვთა ინტერესებზე დაფუძნებული არჩევანის გაკეთებისთვის. ამასთან, კურიკულუმი ითვალისწინებს დღის განმავლობაში აქტივობებს შორის გადასვლის (ტრანზიციის) ორგანიზებას, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა ჩართულობის შენარჩუნებას, გარემოს სტრუქტურირებასა და ყოველდღიური პროცესის თანმიმდევრულობას.

ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერების, წარმოდგენილი მასალებისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია აქტივობების მრავალფეროვნება ბავშვთა ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, რაც ქმნის პირობებს თითოეული ბავშვის ჩართულობისთვის.

ამასთან, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №ბ17.98260507 ბრძანებით, გეგმები მოიცავს ჯგუფის საჭიროებებს, ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს, თამაშზე ორიენტირებულ პროცესს და ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს აქტივობების მრავალფეროვნებასა და მათ შესაბამისობას ბავშვთა ინტერესებსა და განვითარების დონესთან.

ზემოაღნიშნული ქმნის საფუძველს ინკლუზიური და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს ორგანიზებისთვის, სადაც თითოეული ბავშვის საჭიროება გათვალისწინებულია, რასაც ადასტურებს ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის შედეგებისა და ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალთან და გაერთიანების მეთოდისტთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
...........................................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში კურიკულუმის გაზიარების პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი", რომელიც დამტკიცებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 8 დეკემბრის №04 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია კურიკულუმის გაცნობისა და გაზიარების ფორმები როგორც საგანმანათლებლო პერსონალთან, ისე მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

კურიკულუმის შინაარსისა და ძირითადი პრინციპების გაცნობა გათვალისწინებულია სამუშაო შეხვედრებისა და შიდა კომუნიკაციის ფორმატში, რაც ქმნის საფუძველს მისი გამოყენებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისას. მშობლებთან კომუნიკაცია გათვალისწინებულია როგორც ჯგუფური შეხვედრების, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის ფორმით, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას კურიკულუმის ძირითად მიმართულებებსა და ბავშვის განვითარების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამასთან, კურიკულუმის გაზიარება გათვალისწინებულია დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის მშობლებთან, დაწესებულების პერსონალთან და მუნიციპალიტეტთან. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის მიხედვით, კურიკულუმის გაზიარების მიზნით განსაზღვრულია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი, მათ შორის პირისპირ და დისტანციური შეხვედრები, საინფორმაციო დაფები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები, სატელეფონო კომუნიკაცია და ელექტრონული ფოსტა, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მრავალფეროვანი ფორმით მიწოდებას სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან.

ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მასალების (შეხვედრების ოქმები, შეტყობინებები, ფოტო-მასალა) და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ კურიკულუმის გაზიარების პროცესში გათვალისწინებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო ფორმა, რაც უზრუნველყოფს როგორც პერსონალის, ისე მშობლების ინფორმირებულობას.

ზემოაღნიშნული ქმნის საფუძველს თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებისთვის და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასება (დანართი №19);
2. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 2 დეკემბრის №03 ბრძანება „ა(ა)იპ ხულოს ბაგა-ბაღების გაერთიანების ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" 2-5 წლამდე შერეული ჯგუფებისათვის, სასკოლო მზაობის პროგრამა თამაშის დამტკიცების შესახებ" და შესაბამისი დანართები - კურიკულუმები (დანართი №4);
3. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 8 დეკემბრის №04 ბრძანებით (დანართი №5);
4. „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი", დამტკიცებული ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №06 ბრძანებით;
5. ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალი, გაერთიანების მეთოდისტი);
6. ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (კურიკულუმის გაზიარების ამსახველი მასალები და ოქმები, გრძელვადიანი გეგმები, საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოები).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა განსაზღვრულია და რეგულირდება დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №ბ17.98260507 ბრძანებით და განსაზღვრავს დაგეგმვის ფორმებს, პერიოდულობასა და განხორციელების პრინციპებს.

დადგენილი წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულებაში განსაზღვრულია როგორც გრძელვადიანი (წლიური), ისე მოკლევადიანი (ყოველკვირეული) დაგეგმვის ფორმები. ამავე წესის მიხედვით, გრძელვადიანი გეგმა უნდა შემუშავდეს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც კომპლექტდება შერჩევითად, საგანმანათლებლო პერსონალის ნაწილით, ხოლო მოკლევადიანი გეგმა - ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ. ორივე ტიპის გეგმის ფორმები დამტკიცებული უნდა იყოს დაწესებულების დირექტორის მიერ.

ქედლების საბავშვო ბაღში მოკლევადიანი (ყოველკვირეული) გეგმების შემუშავება წარმოადგენს იმ საგანმანათლებლო პერსონალის პასუხისმგებლობას, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ყოველდღიურ ორგანიზებას და ეყრდნობა კურიკულუმით განსაზღვრულ მიმართულებებს.

ამასთან, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა მოკლევადიანი და გრძელვადიანი საგანმანათლებლო გეგმები, თუმცა არ დასტურდება გეგმების შემუშავება დადგენილი წესის შესაბამისად: არ არის წარმოდგენილი გრძელვადიანი გეგმის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ბრძანება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების დამტკიცებული ფორმები, ასევე არ დასტურდება შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან გაზიარებისა და დამტკიცების შესაბამისი მტკიცებულებები.

აღნიშნული მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა სრულად არ შეესაბამება დადგენილ მექანიზმს და ვერ უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის სისტემურობასა და ერთიან სტანდარტს.

ინდიკატორის მოთხოვნა არაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გრძელვადიანი (წლიური) საგანმანათლებლო გეგმის შემუშავება კურიკულუმის მოთხოვნების და ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №ბ17.98260507 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს:

- გეგმის შემუშავებისთვის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებას;
- გრძელვადიანი გეგმის შემუშავებას დადგენილი წესის შესაბამისად;
- გრძელვადიანი გეგმის გაზიარებას საგანმანათლებლო პერსონალთან;
- გრძელვადიანი გეგმის დამტკიცებას დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
- გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმების დამტკიცებას დაწესებულების დირექტორის მიერ.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრას 12 თვის ვადაში. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს გამოვლენილი შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება იცვლება და „არ შეესაბამება" შეფასების ნაცვლად განისაზღვრება შეფასებით „მეტწილად შეესაბამება".

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა განსაზღვრულია თანამონაწილეობითი მიდგომის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის კოლეგიალურობასა და შეთანხმებულ განხორციელებას.

ქედლების საბავშვო ბაღში გეგმების შემუშავება განსაზღვრულია ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ თანამშრომლობით ფორმატში, რაც გულისხმობს როგორც ერთობლივ განხილვებს, ისე ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში დაგეგმვის პროცესში ჩართულობას. ამასთან, დაგეგმვის პროცესში ჩართულია გაერთიანების მეთოდისტი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის კოორდინაციას, მეთოდურ მხარდაჭერას და კურიკულუმთან შესაბამისობის დაცვას.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია არასაკონტაქტო დრო, რაც დასტურდება დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტით - პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 2026 წლის 19 თებერვლის №ბ17.98260505 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, აღმზრდელთან/აღმზრდელ-პედაგოგთან დადებული შრომითი ხელშეკრულება მოიცავს ანაზღაურებადი არასაკონტაქტო საათების შესახებ ჩანაწერს და განსაზღვრავს ამ დროის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებს, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას, დაკვირვებების ანალიზსა და შეფასების შედეგებზე

დაფუძნებული აქტივობების განსაზღვრას. არასაკონტაქტო საათების შრომით ხელშეკრულებაში ასახვასთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა (აღმოფხვრის ვადა - 12 თვე).
გეგმების შემუშავების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ჩართულია სხვა სპეციალისტებიც (ფსიქოლოგი, ლოგოპედი), რაც ხელს უწყობს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და მრავალმხრივი პროფესიული ხედვების ინტეგრირებას.
გეგმები ეფუძნება ბავშვებზე დაკვირვებებსა და შესაბამის ჩანაწერებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის მონაცემებზე დაფუძნებულობას. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს აქტივობების მიზნობრივი დაგეგმვისთვის და მათი ადაპტირებისთვის ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად.
ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ გეგმების შემუშავება განსაზღვრულია თანამშრომლობით ფორმატში, საკონტაქტო და არასაკონტაქტო დროის გამოყენებით და დაფუძნებულია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, დაკვირვების ჩანაწერები, შეფასების ინსტრუმენტები) ასახავს ჯგუფის საჭიროებებს, ბავშვთა ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს.

დაგეგმვის პროცესი ეფუძნება ბავშვზე რეგულარულ დაკვირვებასა და შესაბამის ჩანაწერებს, რაც განსაზღვრავს აქტივობების შინაარსსა და ორგანიზების ფორმებს ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად. დაწესებულებაში მოქმედი წესის მიხედვით, ბავშვზე დაკვირვება განიხილება უწყვეტ პროცესად და მისი შედეგები წარმოადგენს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი გეგმების შედგენისა და გადახედვის საფუძველს.
დაკვირვებისა და შეფასების პროცესი ითვალისწინებს მრავალფეროვან ინსტრუმენტებს (ჩანაწერები, ჩექლისტები, შეფასების ფორმები), რომლებიც იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს როგორც ჯგუფის ინტერესები, ისე საერთო საჭიროებები და განვითარების ტენდენციები, ხოლო აღნიშნული ინფორმაცია სისტემურად აისახება გეგმებში და განსაზღვრავს აქტივობების თემატიკასა და ფორმატს.
გეგმები ეფუძნება დაკვირვებისა და შეფასების პროცესში მიღებულ მონაცემებს, რაც ქმნის საფუძველს დაგეგმვის პროცესის მიზნობრიობისა და ჯგუფის ინტერესებზე მორგებისთვის. ამასთან, დოკუმენტაციაში იკვეთება ბავშვთა ჩართულობის, ინტერესების ცვლილებისა და აქტივობებზე რეაგირების გათვალისწინება, რაც უზრუნველყოფს პროცესის მოქნილობას.
დაგეგმვისა და შეფასების პროცესებს შორის კავშირი იკვეთება პორტფოლიოებში თავმოყრილი მასალების ანალიზისას, რაც ადასტურებს დოკუმენტაციის თანმიმდევრულობასა და სისტემურ ხასიათს.
ქედლების საბავშვო ბაღში ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ბავშვთა ინტერესებს და ეფუძნება დაკვირვებისა და შეფასების პროცესში მიღებულ ინფორმაციას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში თითოეული ბავშვის განვითარების, ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენა ეფუძნება რეგულარულ დაკვირვებას, რაც საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. დაკვირვების შედეგები აისახება შესაბამის დოკუმენტაციაში და წარმოდგენილია ბავშვთა პორტფოლიოებში, რაც ქმნის შესაძლებლობას ბავშვთა განვითარების დინამიკის თანმიმდევრული ანალიზისა და მონიტორინგისთვის.

დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №ბ17.98260507 ბრძანებით, ინდივიდუალიზაცია განიხილება როგორც საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი და მოიცავს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას როგორც გეგმების შემუშავების, ისე მათი განხორციელების პროცესში. ამავე წესის შესაბამისად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები მოიცავს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების ასპექტს, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალიზაციის სისტემურ ასახვას საგანმანათლებლო დაგეგმვაში.

ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები ასახულია მოკლევადიან გეგმებში, სადაც აქტივობები იგეგმება ადაპტაციის, დიფერენცირებისა და ინდივიდუალიზაციის პრინციპების გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა ქმნის პირობებს თითოეული ბავშვის შესაძლებლობებზე მორგებული ჩართულობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის.

ინდივიდუალიზაციის მექანიზმი ასევე მოიცავს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების შესაძლებლობას, მათ შორის დაწესებულების შიგნით და საჭიროების შემთხვევაში გარე სერვის პროვაიდერებთან (ადრეული ინტერვენციის ცენტრი, განვითარების ცენტრი და სხვა) თანამშრომლობის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია ბავშვის განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მათი მიღწევის საშუალებები.

ინდივიდუალიზაციის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ჩართულია ჩართულია ბაღის ფსიქოლოგი და ლოგოპედი და გაერთიანების მეთოდისტი, რაც ხელს უწყობს ბავშვის განვითარების თავისებურებების უფრო სიღრმისეულ გაანალიზებას და შესაბამისი საგანმანათლებლო მიდგომების შერჩევას.

დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი საფუძვლად ედება ინდივიდუალური საგანმანათლებლო მიდგომების განსაზღვრას, რაც უზრუნველყოფს პროცესის ადაპტაციას ბავშვის განვითარების ტემპისა და საჭიროებების შესაბამისად.

დაკვირვების, შეფასებისა და დაგეგმვის პროცესებს შორის კავშირი იკვეთება პორტფოლიოებში თავმოყრილი მასალების ანალიზისას, რაც მიუთითებს დოკუმენტაციის თანმიმდევრულობასა და ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებზე.

ქედლების საბავშვო ბაღში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე დასტურდება, რომ ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება სისტემურად აისახება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...........................................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესი ორგანიზებულია თამაშზე დაფუძნებული მიდგომით, რაც წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ერთ-ერთ ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძველს.

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა ითვალისწინებს თამაშზე ორიენტირებულ აქტივობებს, ბავშვის მიერ ინიცირებულ საქმიანობებს და სხვადასხვა ტიპის თამაშის გამოყენებას როგორც შიდა, ისე გარე გარემოში, რაც სისტემურად არის ასახული გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებში.

ქედლების საბავშვო ბაღში თამაში წარმოადგენს როგორც აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე დღის განმავლობაში აქტივობებს შორის გადასვლის - ტრანზიციების მართვის პროცესში. აქტივობებს შორის გადასვლა ხორციელდება თამაშის ელემენტების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის ბუნებრივ, თანმიმდევრულ და ბავშვზე მორგებულ მიმდინარეობას.

დაწესებულების თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროცესში თამაში წარმოადგენს როგორც დაგეგმილი, ისე დაუგეგმავი აქტივობების ძირითად ფორმას, ხოლო აღმზრდელები სხვადასხვა ტიპის თამაში მიზანმიმართულადაა გათვალისწინებული ტრანზიციების მართვის პროცესშიც.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ქედლების საბავშვო ბაღში ვიზიტის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ ბავშვები აქტიურად არიან ჩართული თამაშზე დაფუძნებულ აქტივობებში, ხოლო ტრანზიციები მიმდინარეობს შეუფერხებლად, ბავშვებისთვის გასაგები და პროგნოზირებადი ფორმით.

თამაშის ელემენტების გამოყენება ტრანზიციების პროცესში ხელს უწყობს რუტინის სტრუქტურირებას, გარემოს პროგნოზირებადობას და ბავშვთა ქცევის თვითრეგულაციის მხარდაჭერას.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ჩართულობას, ინტერესის შენარჩუნებასა და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას, ასევე ამარტივებს ყოველდღიური რუტინის აღქმასა და გარემოში ორიენტაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესი ორგანიზებულია ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის თამაშში როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში.

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ითვალისწინებს თამაშზე ორიენტირებულ პროცესს, სხვადასხვა ტიპის თამაშის გამოყენებას და ბავშვის მიერ ინიცირებულ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს ბავშვთა მრავალფეროვან ჩართულობას დღის განმავლობაში .

დაწესებულების საგანმანათლებლო გეგმებში გათვალისწინებულია მრავალფეროვანი თამაშები - დრამატული, კონსტრუქციული, მოძრავი, სენსორული და სამაგიდო აქტივობები, რაც უზრუნველყოფს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას და მათი ინტერესების გათვალისწინებას.

საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და გამოყენება ეფუძნება მრავალფეროვნებისა და ბავშვთა ჰოლისტური განვითარების პრინციპებს, რაც ქმნის შესაძლებლობას, ბავშვები ჩაერთონ განსხვავებული ტიპის თამაშში როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად .

დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში საგანმანათლებლო პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ აქტივობები და ჩაერთონ სხვადასხვა თამაშში როგორც თანატოლებთან ერთად, ისე ინდივიდუალურად, რაც ხელს უწყობს მათ დამოუკიდებლობასა და სოციალური უნარების განვითარებას.

გარემოს ორგანიზება (როგორც ჯგუფური ოთახის, ისე გარე სივრცის) მორგებულია ბავშვთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის თამაშის ხელმისაწვდომობას დღის განმავლობაში.
აქტივობების მრავალფეროვნება და გარემოს ორგანიზება ქმნის პირობებს ბავშვების თავისუფალი არჩევანისა და აქტიური მონაწილეობისათვის, რაც უზრუნველყოფს განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

### 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფა რეგულირდება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით“, რომელიც განსაზღვრავს რესურსების დაგეგმვის, შერჩევის, გათვალისწინებისა და განახლების პროცესს. დოკუმენტის შესაბამისად, რესურსებით უზრუნველყოფა ორგანიზდება სისტემურად, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება დადგენილი წესით, ხოლო საჭიროებების იდენტიფიცირება და დამუშავება მიმდინარეობს პერიოდულად, მათ შორის ინვენტარიზაციის საფუძველზე.
რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი მოიცავს როგორც ცენტრალიზებულად შეძენილ რესურსებს, ასევე საგანმანათლებლო პერსონალის მიერ შექმნილ და ბუნებრივი თუ ხელმისაწვდომი მასალების გამოყენებით დამზადებულ საგანმანათლებლო საშუალებებს. ამასთანავე, დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში მიმართავს დამატებით მექანიზმებს - რესურსების მოძიებას, დონაციასა და დამზადებას, რაც უზრუნველყოფს რესურსების მრავალფეროვნებას და პროცესის მოქნილობას.

დაწესებულება ფლობს საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალს, რომელიც მოიცავს როგორც სახელმძღვანელოებს, ასევე სხვა ტიპის საგანმანათლებლო მასალებს და ასახავს კონკრეტულად აღნიშნული საბავშვო ბაღისთვის განსაზღვრულ რესურსებს. ჩამონათვალი სტრუქტურირებულია რესურსების ტიპებისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან და საგანმანათლებლო პროცესის საჭიროებებთან.

რესურსების გამრავალფეროვნების პროცესში გათვალისწინებულია ოჯახის ჩართულობა, რაც გამოიხატება დამატებითი საგანმანათლებლო მასალების მიწოდებასა და რესურსების შექმნაში. აღნიშნული მიდგომა ასახავს დაწესებულებასა და ოჯახს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას.

დოკუმენტის შესაბამისად, რესურსების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია როგორც ჯგუფის, ისე თითოეული ბავშვის ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი რესურსების უზრუნველყოფა, მათ შორის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტის ფარგლებში.

რესურსების დაგეგმვა და განაწილება ეფუძნება ბავშვთა რაოდენობასა და ასაკობრივ თავისებურებებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვისთვის რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ ორგანიზებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..............................................................................................................................................................................................................

..............................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფა ხორციელდება ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვისთვის ხელმისაწვდომ და ფუნქციურ საგანმანათლებლო გარემოს.

ქედლების საბავშვო ბაღში არსებული საგანმანათლებლო რესურსები მრავალფეროვანია და შესაბამისობაშია კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებთან და აქტივობებთან. რესურსების რაოდენობა და განაწილება უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ბავშვს ჰქონდეს მათზე წვდომის შესაძლებლობა და ასაქმიანობებში სრულფასოვანი ჩართულობა.
საქმიანობების განსახორციელებლად გათვალისწინებულია როგორც შეძენილი, ასევე ბუნებრივი და ე.წ. „ღია“ მასალები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის შემოქმედებითობას, კვლევით უნარებსა და დამოუკიდებელ აქტივობას. რესურსების შერჩევა და გამოყენება უზრუნველყოფს სხვადასხვა განვითარების სფეროს მხარდაჭერას და შეესაბამება ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებს.
დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გარემოს დათვალიერებით დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და მათი გამოყენება ხდება აქტივობების შინაარსის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის აქტიურ მონაწილეობას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
.........................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................
რჩევა
.........................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.........................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ქედლების საბავშვო ბაღში ჯგუფური ოთახები ორგანიზებულია კურიკულუმის შესაბამისად და დაყოფილია ფუნქციურ ცენტრებად (კონსტრუქციული, დრამატული, ხელოვნება, წიგნიერება, მეცნიერება, სენსორული).

ცენტრები აღჭურვილია საბავშვო ზომის ავეჯითა და შესაბამისი რესურსებით, რომლებიც ორგანიზებულად და ხელმისაწვდომადაა განთავსებული.
გარემოს ასეთი სტრუქტურირება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული განვითარების ყველა სფეროს მხარდაჭერას და ხელს უწყობს ბავშვთა დამოუკიდებელ, არჩევანზე დაფუძნებულ აქტივობებში ჩართულობას.
სივრცის მოწყობა იძლევა როგორც ინდივიდუალური, ისე მცირე ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობას, რაც შეესაბამება ბავშვის ინტერესებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.
გარემო მოქნილია და საჭიროების შესაბამისად ექვემდებარება ცვლილებებს, რაც უზრუნველყოფს აქტივობების მრავალფეროვნებას და ბავშვის ინტერესებზე მორგებულ გარემოს.
გარე სივრცე ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფს ბავშვთა ფიზიკურ აქტივობას, თავისუფალ თამაშსა და გარემოსთან უშუალო ურთიერთობას. სივრცეში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ინვენტარი და ზონები, რომლებიც ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ როგორც სტრუქტურირებულ, ისე თავისუფალ აქტივობებში.
გარე გარემო ხელს უწყობს მოძრაობის, კოორდინაციის, სოციალური ურთიერთობებისა და დამოუკიდებლობის განვითარებას, რაც კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი კომპონენტია.
ამასთან, სივრცის გამოყენება დაგეგმილია და ინტეგრირებულია საგანმანათლებლო პროცესში, რაც დასტურდება წარმოდგენილი გეგმებით, გარემოს ამსახველი მასალებითა და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებით.
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი მასალებისა და გარემოს დათვალიერების საფუძველზე დასტურდება, რომ როგორც შიდა, ისე გარე სივრცეები შესაბამისობაშია შერჩეულ კურიკულუმთან და ქმნის პირობებს საგანმანათლებლო პროცესის მხარდასაჭერად.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია გარე სივრცეში საგანმანათლებლო ცენტრების ფუნქციური მრავალფეროვნების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის მიზნებზე ორიენტირებული საქმიანობების გაფართოებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო რესურსები ორგანიზებულია როგორც შიდა, ასევე გარე სივრცეში კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად და ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის დამოუკიდებელი გამოყენებისათვის. აღნიშნული გარემო შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს, რაც ასევე დასტურდება ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასებით.

შიდა სივრცეში რესურსები ორგანიზებულია შესაბამის საგანმანათლებლო ცენტრებში, რაც უზრუნველყოფს ბავშვების თავისუფალ არჩევანს და აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა ტიპის საქმიანობაში. რესურსები განთავსებულია ბავშვებისთვის თვალსაჩინო და ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებში, რაც ხელს უწყობს მათ დამოუკიდებელ მოქმედებასა და ინიციატივის გამოხატვას.

ცენტრებში რესურსების მრავალფეროვნება შეესაბამება ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის (შემეცნებითი, შემოქმედებითი, სენსორული და სოციალური) აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას.

გარე სივრცე ასევე მოწყობილია საგანმანათლებლო მიზნების გათვალისწინებით და ამინდის შესაბამის პირობებში გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისთვის. გარე სივრცეში არსებული რესურსები და გარემო ხელს უწყობს ბავშვების ფიზიკურ აქტივობას, კვლევით და ექსპერიმენტულ გამოცდილებებს, რაც კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას ემსახურება.

რესურსების ორგანიზება და ხელმისაწვდომობა ქმნის ისეთ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც ბავშვი აღიქმება როგორც აქტიური მონაწილე, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად არჩევანის გაკეთება, რესურსების გამოყენება და საკუთარი ინტერესების შესაბამისად საქმიანობის დაგეგმვა. დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში გარემოს დათვალიერების, დოკუმენტაციის გაცნობისა და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ აღნიშნული მიდგომა გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

### 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში ჯგუფური ოთახები მოწყობილია კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად, ფუნქციური ცენტრების ფორმატში, რაც ქმნის პირობებს ბავშვების ჩართულობისთვის როგორც მცირე და დიდ ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ აქტივობებში. ჯგუფში ბავშვთა რაოდენობა (12 ბავშვი) უზრუნველყოფს გარემოს ეფექტიან გამოყენებას და თითოეული ბავშვისთვის აქტივობებში სრულფასოვან ჩართულობას. ჯგუფური გარემოს ორგანიზება თანხვედრაშია დღის რეჟიმთანა და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, რაც უზრუნველყოფს აქტიური და პასიური, ინდივიდუალური და ჯგუფური აქტივობების თანმიმდევრულ და მიზანმიმართულ განაწილებას დღის განმავლობაში. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი გეგმებისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე.

გარემო მოიცავს როგორც აქტიური თამაშის, ისე დასვენებისა და განმარტოების სივრცეებს, რაც ხელს უწყობს ბავშვის ემოციურ კეთილდღეობას, თვითრეგულაციასა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გარემოს დათვალიერებით დადასტურდა, რომ გარემო ორგანიზებულია ბავშვებისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით, რაც უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებელ არჩევანს და აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის აქტივობებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ შემუშავებულია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მიდგომები, რომლებიც განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით", რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №ბ17.98260507 ბრძანებით და ადგენს შესაბამის პროცედურებსა და ინსტრუმენტებს. აღნიშნული დოკუმენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები (ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები, მოკლე კითხვარები, ჩექლისტები, სკალები, ცხრილები ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები), ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად „შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით". დოკუმენტში მითითებული შეფასების ფორმების კონტექსტში დანართის სახით წარმოდგენილია ბავშვის განვითარების შეფასების ინდიკატორებზე დაფუძნებული ცხრილური ინსტრუმენტი, მაგრამ არ დასტურდება აღნიშნული ინსტრუმენტების ერთიანი სტანდარტით სისტემატიზაცია და დოკუმენტში ჩამოთვლილი შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დანართების სახით დამტკიცება დირექტორის ბრძანებით.

ქედლების საბავშვო ბაღში ვიზიტის ფარგლებში მოხდა საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წარმოდგენილი შეფასების სხვადასხვა ფორმის გაცნობა. დაკვირვებისა და შეფასების შედეგები აისახება ბავშვთა პორტფოლიოებში და წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და საჭიროებების შესაბამისად მოდიფიცირების საფუძველს.

ინდიკატორის მოთხოვნა არაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ინსტრუმენტების დამტკიცება ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №ბ17.98260507 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის" შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის სტრუქტურირებულობასა და ეფექტიანობას.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტებისა და ფორმების გამოყენება (მაგ., ჩექლისტები, განვითარების სკალები, სტრუქტურირებული დაკვირვების ფორმები, ნამუშევრების ანალიზი), რაც უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროს უფრო სრულფასოვან შეფასებას და შეფასების პროცესის მრავალმხრივობას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის ფარგლებში გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრას 12 თვის ვადაში. წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს გამოვლენილი შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის შეფასება იცვლება და „არ შეესაბამება" შეფასების ნაცვლად განისაზღვრება შეფასებით „მეტწილად შეესაბამება".

## 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შეფასების პროცესი მიმართულია თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და პროგრესის გამოვლენაზე განვითარების ყველა სფეროში, რაც შეესაბამება ბავშვის ჰოლისტური განვითარების პრინციპს.
ქედლების საბავშვო ბაღში თითოეული ბავშვისთვის იწარმოება ინდივიდუალური პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ბავშვის განვითარების ამსახველ მრავალფეროვან მასალას, დაკვირვების ჩანაწერებსა და ნამუშევრებს. აღნიშნული უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების დინამიკის დაკვირვებას და ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებას.
შეფასების პროცესი ორიენტირებულია ბავშვის ინტერესების გამოვლენასა და მათზე რეაგირებაზე, რაც აისახება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და აქტივობების ბავშვზე მორგებაში. საჭიროების შემთხვევაში, პროცესში ჩართულია შესაბამისი სპეციალისტები (გაერთიანების მეთოდისტი, მეთოდისტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი), რაც ხელს უწყობს ბავშვის განვითარების სიღრმისეულ გააზრებას.
ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული დაკვირვებისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ შეფასების პროცესი უკავშირდება ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის, რაც უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................................................................................................................................................

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში შეფასების შედეგები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირებისთვის. დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემები აისახება როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან გეგმებში და უზრუნველყოფს აქტივობების ინდივიდუალიზაციას ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. შეფასების შედეგების გამოყენება უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის მიზნობრივ დაგეგმვას და აქტივობების შინაარსისა და მიდგომების ადაპტაციას ბავშვის განვითარების დინამიკის შესაბამისად.

შეფასების შედეგები, მათ შორის ბავშვთა პორტფოლიოებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს ბავშვის განვითარების პროგრესის განსაზღვრის საშუალებას და გათვალისწინებულია შესაბამისი საგანმანათლებლო მიდგომების შერჩევისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფს ინდივიდუალიზებული მიდგომების დანერგვას და ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დადასტურდა, რომ შეფასების შედეგების გათვალისწინება ხდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირებისთვის. შეფასების შედეგების გამოყენება დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებასთან, რაც უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების დინამიკის გათვალისწინებას და შესაბამისი საგანმანათლებლო მიდგომების შერჩევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

### რჩევა

მიზანშეწონილია შეფასების შედეგების გამოყენების პრაქტიკის კიდევ უფრო სისტემატიზაცია და მათი ანალიზის შედეგების მკაფიოდ ასახვა საგანმანათლებლო დაგეგმვის დოკუმენტაციაში, მათ შორის, ინდივიდუალური განვითარების გეგმების სტრუქტურირებული ფორმატის დანერგვის გზით, რაც ხელს შეუწყობს თითოეული ბავშვის საჭიროებებზე უფრო მიზნობრივ რეაგირებას.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................

## 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში მოქმედი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ (დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის №ბ17.98260507 ბრძანებით) საფუძველზე დაწესებულება ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში. აღნიშნული დოკუმენტის მე-9 მუხლის თანახმად, „დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას; ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად“.
ქედლების საბავშვო ბაღში ვიზიტისა და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ დაწესებულება აცნობიერებს ოჯახის ჩართულობის მნიშვნელობას ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარების, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის საფუძვლის შექმნის თვალსაზრისით. აღნიშნული პროცესი მოიაზრებს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებულობას ბავშვის განვითარების შესახებ, ინდივიდუალური თავისებურებების გაზიარებას, ასევე თანამშრომლობას ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების უკეთ გასაცნობად.
ყველა მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრების დაგეგმვა-ორგანიზებაზე, ბავშვის ინდივიდუალური პორტფოლიოდან სხვადასხვა მასალის (დაკვირვების ჩანაწერები, ფოტოები, ნამუშევრები და სხვ.) მომზადებასა და მშობლისათვის გაცნობაზე პასუხისმგებელია აღმზრდელი.
დაწესებულების მიერ შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობა განიხილება, როგორც ინფორმაციის ორმხრივი გაცვლისა და ბავშვის განვითარების მხარდაჭერის ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების წინაპირობა. ბაღის თანამშრომლები ზრუნავენ მშობლებს შეუქმნან შესაბამისი პირობები, რათა მათ თავისუფლად გააზიარონ საკუთარი მოსაზრებები, შეხედულებები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვის შესახებ.
შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობა ხელს უწყობს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებულობას როგორც ბავშვის განვითარების სფეროების, ასევე მისი მიღწევებისა და საჭიროებების შესახებ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბაუშვო ბაღის თვითშეფასება (დანართი №19);
2. „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, დამტკიცებული ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 19 თებერვლის ბრძანებით (დანართი №6);
3. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“. დამტკიცებულია ა(ა)იპ ხულოს ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის 20266 წლის 19 თებერვლის №ზ17.98260505 ბრძანებით;
4. ინტერვიუს შედეგები (საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პერსონალი, გაერთიანების მეთოდისტები);
5. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დამატებითი მასალები (ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია, წიგნების აღრიცხვის ჟურნალი, ბავშვთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოები, დღის განრიგი, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები, რეფლექსიური ჩანაწერები).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პროცესი რეგულირდება დამტკიცებული დოკუმენტით „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების წესი“, რომელიც დამტკიცებულია

გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 8 დეკემბრის №04 ბრძანებით და განსაზღვრავს კურიკულუმის შეფასების მიმართულებებს, პერიოდულობასა და განხორციელების მექანიზმებს.
ქედლების საბავშვო ბაღში აღნიშნული წესი ქმნის კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის დანერგვის საფუძველს. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შეფასება უნდა განხორციელდეს საგანმანათლებლო პროცესის, ფიზიკური გარემოსა და გამოყენებული რესურსების ანალიზის, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უკუკავშირის და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიის საფუძველზე. შეფასება იგეგმება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც უზრუნველყოფს პროცესის სტრუქტურირებას და მრავალმხრივი ინფორმაციის გამოყენებას.
ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, რაც განპირობებულია იმით, რომ კურიკულუმი ახალი დანერგილია და შეფასების ციკლი ჯერ არ დამდგარა. შესაბამისად, კურიკულუმში ცვლილებების განხორციელების პრაქტიკაც ამ ეტაპზე არ ფიქსირდება, თუმცა შესაბამისი მექანიზმები განსაზღვრულია მარეგულირებელ დოკუმენტში და მათი ამოქმედება დაგეგმილია შეფასების განხორციელების შემდეგ.
წარმოდგენილი რეგულაციებისა და დაგეგმილი პროცესების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებაში არსებობს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკის ჩამოყალიბების საფუძველი, რომელიც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში განსაზღვრულია კურიკულუმის შეფასების შედეგების ანალიზისა და მათი გამოყენების მექანიზმი, რომელიც გაწერილია მარეგულირებელ დოკუმენტში „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების წესი“. დოკუმენტის მიხედვით,

კურიკულუმში ცვლილებების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს კურიკულუმის შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები და რეკომენდაციები. ცვლილებები შეიძლება იყოს როგორც მასშტაბური, ასევე წერტილოვანი ხასიათის.

წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს კურიკულუმის ცალკეული კომპონენტების გაუმჯობესებას, მათ შორის: მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას, თემატური შინაარსის ცვლილებას, ბავშვზე დაკვირვების ინსტრუმენტების დამატებას, საგანმანათლებლო რესურსების გამრავალფეროვნებას, ფიზიკური გარემოს მოწყობის ცვლილებას, ბავშვთა ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინების მიდგომების დახვეწას, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობისა და დღის განრიგის ცვლილებას, ასევე ოჯახის და თემის ჩართულობის გაძლიერებას. აღნიშნული ცვლილებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მასშტაბური ცვლილებები უკავშირდება კურიკულუმის შეცვლას ან ახალი კურიკულუმის დამატებას/ამოღებას, რაც ხორციელდება განსაზღვრული პროცედურების დაცვით, მათ შორის კურიკულუმის შერჩევისა და ახალი ჩარჩოს შემუშავების ეტაპების გავლით და ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი პროცესების გათვალისწინებით.

დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმი წარმოადგენს ახლად დანერგილ დოკუმენტს, შესაბამისად შეფასების შედეგების ანალიზისა და მათზე დაყრდნობით ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია განსაზღვრული პერიოდულობის ფარგლებში. თუმცა, დაწესებულებაში განსაზღვრულია მკაფიო მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების განხორციელების შემდეგ მიღებული შედეგების სისტემურად გამოყენებას კურიკულუმის განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით.

კურიკულუმში ცვლილებების შეტანისა და განვითარების წარმოდგენილი რეგულაციების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებას გააჩნია კურიკულუმის შეფასების შედეგების გამოყენებისა და კურიკულუმის ცვლილებების განხორციელების ჩამოყალიბებული მექანიზმი, რაც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასება (დანართი №19);
2. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 8 დეკემბრის №04 ბრძანება „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ და შესაბამისი მარეგულირებელი წესი (დანართი №5);
3. ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალი, გაერთიანების მეთოდისტი).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

#### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

#### 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემუშავებული და ხულოს ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №06 და №07 ბრძანებებით დამტკიცებულია „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ და საკომუნიკაციო გეგმა, რომლებიც წარმოადგენს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის დაგეგმვის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტებს. აღნიშნული წესი განსაზღვრავს საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების ეტაპებს, მათ შორის სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირებას, საკომუნიკაციო არხების შერჩევას, აქტივობების დაგეგმვას, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას და უკუკავშირის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლობის პროცესის სისტემურ და მიზნობრივ დაგეგმვას.

დოკუმენტის შესაბამისად, დაწესებულება წინასწარ დაგეგმავს კომუნიკაციურ აქტივობებს როგორც შიდა, ისე გარე სამიზნე აუდიტორიასთან, რომელშიც მოიაზრება მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და თემის წარმომადგენლები. საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს დროში გაწერილ

აქტივობებს, შესაბამის საკომუნიკაციო არხებსა და პასუხისმგებელ პირებს, რაც უზრუნველყოფს თანამშრომლობის პროცესის ორგანიზებულ და წინასწარ განსაზღვრულ ხასიათს.
დაწესებულების მიერ განსაზღვრული რეგულაციის შესაბამისად, სასწავლო წლის დასაწყისში ხდება კომუნიკაციური აქტივობების წინასწარ დაგეგმვა, ხოლო მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მათ დროულ ინფორმირებას და საჭიროების შემთხვევაში დამატებით შეხსენებას, რაც ხელს უწყობს მშობელთა და თემის ჩართულობას.
საკომუნიკაციო გეგმა ითვალისწინებს კომუნიკაციის მრავალფეროვან ფორმებსა და არხებს (პირისპირ შეხვედრები, დისტანციური კომუნიკაცია, საინფორმაციო დაფები, სატელეფონო და წერილობითი კომუნიკაცია), რაც უზრუნველყოფს ყველა სამიზნე ჯგუფთან ეფექტიან და ხელმისაწვდომ ურთიერთობას.
ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს წინასწარ დაგეგმოს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა და ორგანიზებულად განახორციელოს კომუნიკაციის პროცესი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმისა და შესაბამისი მარეგულირებელი წესის საფუძველზე, დაწესებულება ქმნის პირობებს კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში მშობლებისა და თემის ჩართულობისთვის.

დოკუმენტი განსაზღვრავს კომუნიკაციის ფორმებსა და არხებს, რაც უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებასა და მათ ჩართვას დაწესებულების საქმიანობაში.
ქედლების საბავშვო ბაღი უზრუნველყოფს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, რაც ქმნის შესაძლებლობას მათი მონაწილეობისათვის როგორც დაწესებულების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ დაგეგმილ აქტივობებში.
კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება - ინდივიდუალური კომუნიკაცია, პირისპირ და დისტანციური შეხვედრები კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება (შეხვედრები, ინდივიდუალური კომუნიკაცია, საინფორმაციო საშუალებები) ხელს უწყობს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების დაინტერესებასა და ჩართულობის გაძლიერებას. ამასთან, დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში დაგეგმილი აქტივობები იყოს ხელმისაწვდომი მშობლებისა და თემის წარმომადგენლებისთვის, რაც ქმნის საფუძველს მათი ეტაპობრივი და უფრო აქტიური ჩართულობისთვის.
ამასთან, დაწესებულება ორიენტირებულია მშობლებისა და თემის წარმომადგენლების ჩართულობის წახალისებაზე, რაც გამოიხატება მათთვის მონაწილეობის შესაძლებლობების შექმნაში, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებასა და კურიკულუმის განხორციელების პროცესში მათი როლის გაძლიერებაში. თემის ჩართულობა გამოიხატება ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის მიმართულებითაც, კერძოდ, თემის მხარდაჭერით განხორციელდა ქედლების საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა და მისი საბავშვო ატრაქციონებით აღჭურვა, რაც, ერთი მხრივ, ქმნის დამატებით შესაძლებლობებს ბავშვების განვითარებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, აძლიერებს თემის მონაწილეობას დაწესებულების საქმიანობაში.
ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება გეგმავს და ხელს უწყობს მშობლებისა და თემის ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებსა და ღონისძიებებში, როგორც დაწესებულებაში, ისე მის გარეთ.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან კომუნიკაცია დარეგულირებულია და წინასწარ განსაზღვრულია ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ შემუშავებული საკომუნიკაციო გეგმისა და შესაბამისი მარეგულირებელი წესის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ურთიერთობის ორგანიზებისა და მართვის ძირითად ინსტრუმენტს. დოკუმენტი ითვალისწინებს მრავალარხიანი კომუნიკაციის გამოყენებას და განსაზღვრავს შესაბამის ფორმებს, არხებსა და პასუხისმგებელ პირებს, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის პროცესის სისტემურობასა და თანმიმდევრულობას.

დაწესებულება კომუნიკაციის მრავალფეროვანი ფორმებისა და არხების განსაზღვრის გზით, მათ შორის როგორც უშუალო, ასევე დისტანციური საშუალებების გამოყენებით (ინდივიდუალური კომუნიკაცია, პირისპირ და დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით, მატერიალური და ელექტრონული კორესპონდენცია, საინფორმაციო დაფები, მოკლე ტექსტური შეტყობინებები და სატელეფონო კომუნიკაცია), უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია დროულად და ადეკვატურად მიეწოდოს მშობლებსა და თემის წარმომადგენლებს. აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს კომუნიკაციის პროცესის მოქნილობას.

მრავალარხიანი და მრავალფორმატიანი კომუნიკაციის სისტემის არსებობა ხელს უწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ზრდის ჩართულობის შესაძლებლობას და ქმნის დაწესებულებასა და ოჯახსა და თემს შორის ეფექტიანი ურთიერთობის საფუძველს, რაც დასტურდება ქედლების საბავშვო ბაღში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და საკომუნიკაციო არხებთან დაკავშირებული წარმოდგენილი მასალების ანალიზით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

### რჩევა

სასურველია, დაწესებულებამ უფრო აქტიურად გამოიყენოს ოფიციალური საკომუნიკაციო არხები, მათ შორის ელექტრონული ფოსტა, რაც ხელს შეუწყობს კომუნიკაციის ფორმალიზებას, ინფორმაციის სისტემურ დოკუმენტირებას და მშობლებთან/თემთან ურთიერთობის ეფექტიანობას.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასება (დანართი №19);
2. ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის ბრძანება №06 „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ“ და ბრძანება №07 „საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და შესაბამისი დანართები - საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი და ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმა (დანართი №7);
3. ინტერვიუს შედეგები (ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალი);
4. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დამატებითი მასალები (საინფორმაციო დაფის მასალები, კომუნიკაციის არხების ამსახველი ნიმუშები, შეტყობინებებისა და შეხვედრების მასალები).

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

## 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღში მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება განსაზღვრულია როგორც საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი და ეფუძნება წინასწარ დაგეგმილ საკომუნიკაციო აქტივობებს. მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ

ინფორმაცია ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის განვითარების თავისებურებების, თამაშზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობის, ჯანსაღი კვებისა და ჰიგიენის საკითხებზე.
მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე დაწესებულება ზრუნავს მრავალფეროვანი ფორმების, მათ შორის თემატური შეხვედრების, ინდივიდუალური კონსულტაციების, საინფორმაციო მასალების გაზიარებისა და ყოველდღიური კომუნიკაციის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ეტაპობრივ და ადაპტირებულ მიწოდებას.
აღნიშნულ პროცესში, საჭიროების შესაბამისად, ერთვება დაწესებულების ფსიქოლოგი და ლოგოპედი, რომლებიც მშობლებს აწვდიან რეკომენდაციებს ბავშვის განვითარების, ქცევის მართვისა და კომუნიკაციის ხელშეწყობის მიმართულებით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პროცესში მონაწილეობს გაერთიანების მეთოდისტი, რაც დამატებით უზრუნველყოფს პროფესიულ მხარდაჭერას.
მშობლებთან თანამშრომლობა და მათი ინფორმირება განიხილება, როგორც უწყვეტი პროცესი და გულისხმობს როგორც უკვე ჩართულ, ისე ახალ მშობლებს, რომელთათვისაც განსაზღვრულია ადაპტაციისა და ინფორმირების შესაბამისი მიდგომები.
საკომუნიკაციო გეგმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს მშობლების სისტემატურ ინფორმირებას და მათთვის შესაძლებლობის მიცემას, აქტიურად ჩაერთონ ბავშვის განვითარების პროცესში.
ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის მარეგულირებელი დოკუმენტების, დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში დამატებით გაცნობილი მასალების (შეხვედრების შესახებ ინფორმირების მასალები, საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსიები, მშობელთა ჩართულობით შექმნილი ბუკლეტები/პოსტერები, ფოტო-მასალა) და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
....................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................
რჩევა
....................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
....................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში უზრუნველყოფილია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება ბავშვთა განვითარების და შეფასების შედეგების შესახებ, რაც წარმოადგენს ოჯახთან თანამშრომლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას და ხორციელდება დაგეგმილი საკომუნიკაციო აქტივობების ფარგლებში.

ქედლების საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პერსონალი ითვალისწინებს მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების პერიოდულად დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც ხდება ბავშვის პორტფოლიოს მასალების - დაკვირვების ჩანაწერების, ნამუშევრებისა და განვითარების შეფასების ამსახველი ინფორმაციის გაზიარება. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის განვითარების დინამიკის გაცნობას და მშობლის ჩართულობას შესაბამის პროცესში.

დაწესებულების მშობლებისთვის შეფასების შედეგების მიწოდების ფორმებს წარმოადგენს როგორც დაგეგმილი შეხვედრები, ისე ყოველდღიური კომუნიკაცია, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის უწყვეტ და დროულ გაზიარებას. ინფორმაციის მისაწოდებლად შერჩეულია მშობლისთვის გასაგები და ადაპტირებული ფორმატი, რაც ხელს უწყობს შეფასების შედეგების სწორ აღქმას და მათ გამოყენებას ბავშვის მხარდაჭერის პროცესში.

შეფასების შედეგების გაზიარების პროცესში გათვალისწინებულია საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ფსიქოლოგისა და ლოგოპედის ჩართულობა, რაც მნიშვნელოვანია ბავშვის განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებით მშობლებისთვის დამატებითი განმარტებებისა და რეკომენდაციების მიწოდების თვალსაზრისით.

შეფასების შედეგების გაზიარება არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმირების ფუნქციით და წარმოადგენს ორმხრივი კომუნიკაციის პროცესს, რომელიც ითვალისწინებს მშობლის უკუკავშირსაც. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში გაცნობილი მასალების (ბავშვთა და საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოები, კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერები, მშობლებთან შეხვედრების მასალები), ასევე ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მშობლების ინფორმირებას ბავშვთა შეფასების შედეგების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ქედლების საბავშვო ბაღი, საკომუნიკაციო გეგმით წინასწარ დაგეგმილი აქტივობების ფარგლებში, ითვალისწინებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისას. ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის თვითშეფასების მიხედვით, საგანმანათლებლო პროცესში გათვალისწინებულია ადგილობრივი რესურსების ინტეგრირება, მათ შორის: სკოლა, ბიბლიოთეკა, პარკი, სახანძრო-სამაშველო სამსახური, ამბულატორია და სხვა, რაც ხორციელდება როგორც დაგეგმილი აქტივობების, ასევე თემატური ვიზიტებისა და მოწვეული პირების ჩართულობის გზით.

საგანმანათლებლო პერსონალი, კურიკულუმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გეგმავს თემთან დაკავშირებულ აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს ბავშვების უშუალო კონტაქტს რეალურ გარემოსთან და გამოცდილებით სწავლას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს ბავშვების სოციალური გამოცდილების გაფართოებას, გარემოსთან ადაპტაციას და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გამოცდილების დაგროვებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივ სკოლასთან თანამშრომლობას, რაც მნიშვნელოვანია ტრანზიციის პროცესის მხარდასაჭერად და უზრუნველყოფს ბავშვების ეტაპობრივ მომზადებას სასკოლო გარემოსთვის.

ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების ქედლების საბავშვო ბაღის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში გაცნობილი მასალების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს თემში არსებულ რესურსებს და უზრუნველყოფს მათ კურიკულუმთან შესაბამის ინტეგრირებას. აღნიშნული დასტურდება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი გეგმებითაც, რომლებშიც ინტეგრირებულია თემში არსებული რესურსები კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

| კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება. განტავსებული არ არის სამ სიმაღლეზე იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე, გამოსასწორებელი პერიოდი 24 თვე აქვთ მითითებული. | დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილ კოლონებსა და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება. დაწესებულების მენეჯერმა გაუწიოს კონტროლი სამუშაოების შესრულებას იმისათვის, რომ მოგვარებულ იქნას აღნიშნული პრობლემა 24 თვის ვადაში. | | დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი მოსაგვარებლად გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, სამუშაოს შესრულება 24 თვის ვადაში. |
| კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული იმ დენსართების უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც განლაგებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე, მოიძიოს ფინანსები, გამოაცხადოს ტენდერი და განახორციელოს შესყიდვა. პრობლემის მოგვარება გაწერილია შესაბამისობის გეგმაში 24 თვეზე, რისი კონტოლიც დაევალოს დაწესებულების მენეჯერს. | | დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ აღნიშნული საკითხის მოგვარება(დენსართების უსაფრთხოების დაცვა)გაწერა შესაბამისობის გეგმაში, სამუშაოს შესრულება 24 თვის ვადაში. |
| ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილებისა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში მყოფი ბავშვების რაოდენობას. 3-დან 5 წლამდე მაგიდა 46 სმ, სკამი 27 სმ. 5-დან 6 წლამდე: მაგიდა 52 სმ, სკამი 31 სმ. 3-დან 6 წლამდე საწოლები სიგრძე 140 სმ, სიგანე 60 სმ. | | | |
| 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ავეჯი მყარად არის დადგმული, ჯგუფური ოთახის თაროები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე. დაწესებულებაში არის ერთი კომპიუტერი მრავალფუნქციური პრინტერით, მაგრამ არ არის ინტერნეტი. ამის გამოსწორება გაწერილია შესაბამისობის გეგმაში 24 თვეზე. | დაწესებულება უნდა გამოასწოროს ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის მოგვარება 24 თვის განმავლობაში. | | **დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით(ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემები) დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერა აღნიშნული საკითხი, შესრულების დრო 24 თვის განმავლობში.** |
| 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი<br>ეზოს/გარე სივრცის ფართი<br>აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა<br>საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა<br>საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა<br>საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა<br>საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა<br>გასახდელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისიწნებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს: დაწესებულების დაზუსტებული ფართობი არის 583.00 კვ.მ. შენობა ნაგებებოის საერთო ფართი 360.60 კვ.მ. დიდი მაგიდა 7, პატარა მაგიდა 6, პლასტმასის სკამი დიდი 24, პლასტმასის სკამი პატარა 22. ხის სკამი 34. | | | |
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

# 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი №2

| | |
|---|---|
| **საჯარო სახელწოდება:** ა(ა)ი.პ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება<br>**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):** ქედლების საბავშვო ბაღი | სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის №MES 1 26 000023031 ბრძანება |
| **პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:** ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქედლები<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | **ვიზიტის თარიღი:** *31/03/2026* |

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | • კვების უზრუნველყოფის მექანიზმი;<br>• მენიუ;<br>• კერძების კართოტეკა;<br>• შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. |
| საგანმანათლებლო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| | | √ | | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |
| | √ | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | ა(ა)ი.პ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას" ქედლების საბავშვო ბაღისთვის შერჩეულია სტაციონარული კვებითი უზრუნველყოფის ფორმა, რომლის ფარგლებში ბავშვთა კვება ორგანიზებულია დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულ სამზარეულოში. მენიუთი განსაზღვრული კერძების მომზადება ხორციელდება ადგილზე და მიეწოდება აღსაზრდელებს ყოველდღიურად.<br>დაწესებულებაში წარმოდგენილია კვების პროცესთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტაცია, მათ შორის მენიუ, კარტოთეკა და მარეგულირებელი წესი, თუმცა აღნიშნული მასალები წარმოდგენილია ფრაგმენტულად და არ ქმნის ერთიან, სისტემურად გაწერილ მეთოდოლოგიურ მექანიზმს, რომელიც ინტეგრირებულად გააერთიანებდა მენიუს დაგეგმვის, პროდუქტებით უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და დოკუმენტირების პროცესებს. შესაბამისად, კვების მართვა უფრო ფორმალურ-დოკუმენტურ ხასიათს ატარებს, ვიდრე ერთიან სისტემაზე დაფუძნებულ პროცესს.<br>ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მენიუ და კარტოთეკა დამტკიცებულია და მოიცავს ტექნოლოგიურ ბარათებს, დოკუმენტაციაში მკაფიოდ არ იკითხება მენიუს შემუშავების პროცედურა, პასუხისმგებელი პირების იდენტიფიკაცია და მისი პერიოდული გადახედვის მექანიზმი.<br>ასევე არ არის განსაზღვრული, როგორ ხდება მენიუს ცვლილება გაუთვალისწინებელ შემთხვევებში და რა წესით ხორციელდება კერძების ჩანაცვლება ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით, რაც ზრდის არარეგულირებადი ცვლილებების რისკს პრაქტიკაში.<br>პროდუქტებით უზრუნველყოფის ნაწილში ასევე არ იკვეთება სრულყოფილად გაწერილი მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებდა საკვები პროდუქტების შესყიდვის წესს, მომარაგების სიხშირეს, მენიუს შესაბამისი პროდუქტებით უზრუნველყოფის პროცესს და მენიუ-ფაქტურის შედგენას ბავშვთა ფაქტობრივი დასწრების გათვალისწინებით. აღნიშნული ქმნის საფუძვლიან ეჭვს, რომ მენიუს პრაქტიკული შესრულება შესაძლოა არ იყოს სრულად უზრუნველყოფილი.<br>გარდა ამისა, წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს მკაფიოდ განსაზღვრული მონიტორინგისა და დოკუმენტირების სისტემა, მათ შორის პროცესზე პასუხისმგებელი პირები, კონტროლის მექანიზმები და რეგულარული ჩანაწერების წარმოების პრაქტიკა, რაც მიუთითებს კვების პროცესის კონტროლის არასაკმარის ინსტიტუციონალიზაციაზე.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში კვებითი პროცესის ორგანიზების ცალკეული ელემენტები ფორმალურად წარმოდგენილია, არ იკვეთება ერთიანი, სრულყოფილად გაწერილი და პრაქტიკაში დანერგილი კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა პროცესის სისტემურ მართვას და სრულ შესაბამისობას ინდიკატორის მოთხოვნებთან.<br>დაწესებულებაში წარმოდგენილია კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს და შეიცავს შესაბამის დანართებს, მათ შორის საინფორმაციო ფურცლის, საკვები პროდუქტების ჩანაცვლების ცხრილისა და მიკვლევადობის ჟურნალის შაბლონებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ დოკუმენტურად გათვალისწინებულია ინდივიდუალური კვებითი საჭიროებების მქონე ბავშვების იდენტიფიცირებისა და გარკვეული პროცესების ფორმალიზების მცდელობა.<br>თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ არ არის სრულყოფილად და სისტემურად გაწერილი ალერგიის ან კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვთა კვების მართვის ერთიანი მექანიზმი, რომელიც დააკმაყოფილებდა ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, დოკუმენტში მკაფიოდ არ არის ჩამოყალიბებული კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სტანდარტიზებული მეთოდები, მათ შორის ინფორმაციის მიღების წყაროები, განახლების სიხშირე და პასუხისმგებელი პირები.<br>ასევე არ არის დეტალურად გაწერილი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ შემოტანილი საკვების გამოყენებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესები, მათ შორის სავალდებულო ეტიკეტირების, შენახვის, გამოყენებისა და კონტროლის მექანიზმები, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის კუთხით.<br>გარდა ამისა, დოკუმენტაციაში არ იკვეთება გადაუდებელ შემთხვევებში მოქმედების მკაფიო, წინასწარ განსაზღვრული და ეტაპობრივად გაწერილი გეგმა იმ ბავშვებისთვის, რომელთაც აქვთ ანაფილაქსიის ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქციის რისკი. ასევე არ ჩანს, რამდენად არის პროცესში ინტეგრირებული მკურნალი ექიმის რეკომენდაციები და როგორ ხდება პერსონალის მზადყოფნის უზრუნველყოფა მსგავს შემთხვევებზე რეაგირებისთვის.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად წარმოდგენილია ცალკეული ინსტრუმენტები და ფორმები, არ იკვეთება მათი ერთიან, სისტემურად გაწერილ და სრულყოფილ მექანიზმად ჩამოყალიბება, რაც ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.<br>დაწესებულებაში წარმოდგენილია კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროდუქტებისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლთან დაკავშირებულ ცალკეულ მოთხოვნებს და ზოგად მიდგომებს, მათ შორის მოქმედ კანონმდებლობაზე მითითებებს . აღნიშნული მიუთითებს, რომ ხარისხის კონტროლის საკითხი ფორმალურად გათვალისწინებულია და ნაწილობრივ ასახულია დოკუმენტურ დონეზე.<br>თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ არ არის შემუშავებული სრულყოფილი, სისტემურად გაწერილი და პრაქტიკაში დანერგილი მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფდა პროდუქტებისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლის ერთიან და თანმიმდევრულ განხორციელებას. კერძოდ, დოკუმენტში არ იკვეთება მკაფიოდ გაწერილი ყოველდღიური კონტროლის მექანიზმები, პასუხისმგებელი პირები, კონტროლის სიხშირე და ეტაპები, აგრეთვე არ არის განსაზღვრული კონტროლის შედეგების დოკუმენტირების ერთიანი სისტემა.<br>ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი მოიცავს საკანონმდებლო მოთხოვნებსა და რეკომენდებულ პრაქტიკებს (მათ შორის ლაბორატორიული შემოწმების შესაძლებლობას და პროდუქტის ხარისხის შეფასების ზოგად მიდგომებს), აღნიშნული საკითხები წარმოდგენილია უფრო დეკლარაციულ დონეზე და არ არის გადაყვანილი კონკრეტულ, სავალდებულო და შესრულებად პროცედურებში, რაც აუცილებელია ეფექტიანი კონტროლის უზრუნველსაყოფად.<br>ასევე არ იკვეთება მზა კერძების ხარისხის კონტროლის კონკრეტული პროცედურები, მათ შორის სინჯის აღების, შენახვისა და მიკვლევადობის სისტემის პრაქტიკული დანერგვის მექანიზმი, რაც წარმოადგენს სურსათის უვნებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად წარმოდგენილია ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული ცალკეული ელემენტები და ზოგადი მითითებები, არ იკვეთება მათი ერთიან, დეტალურად გაწერილ და პრაქტიკულად განხორციელებად მეთოდოლოგიად ჩამოყალიბება, რაც ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.<br>დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების, აგრეთვე კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის მართვის მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები სრულყოფილად არ არის გაწერილი. დოკუმენტში არ იკვეთება დეტალურად ჩამოყალიბებული პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავდა საკვების დამუშავების ეტაპებს (ცივი და თერმული დამუშავება), სერვირების წესებს, აგრეთვე მაღალი რისკის მქონე პროდუქტების (მაგ.: ბოჭკოვანი, წებოვანი, მცირე ზომის ან მძელად დასაღეჭი სურსათი) უსაფრთხო გამოყენებისა და გაუვნებლობის კონკრეტულ მეთოდებს.<br>ამასთან, დოკუმენტაცია არ ასახავს გადაცდენის რისკის შემცირებისკენ მიმართულ პრევენციულ ღონისძიებებს, როგორიცაა საკვების შესაბამისი ტექსტურის შერჩევა, ზომის ადაპტირება, დამუშავების სპეციფიკური ტექნიკები ან ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით სერვირების წესები. ასევე არ არის განსაზღვრული კვებითი ღირებულების შენარჩუნებისთვის აუცილებელი ტექნოლოგიური მიდგომები, რაც მნიშვნელოვანია როგორც უსაფრთხოების, ისე კვებითი ხარისხის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.<br>შედეგად, დოკუმენტურად არ იკვეთება ერთიანი, დეტალურად გაწერილი და პრაქტიკულად განხორციელებადი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავებას, მომზადებასა და სერვირებას, ასევე გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის მართვასა და კვებითი ღირებულების შენარჩუნებას, რაც ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებას<br>დაწესებულებაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ არ არის დამტკიცებული იმ საკვები პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი) ერთიანი ცხრილი, რომელიც გამოყენებული იქნებოდა მენიუს შემუშავების პროცესში. შესაბამისად, არ იკვეთება დოკუმენტურად განსაზღვრული საწყისი მონაცემები, რომელთა საფუძველზეც მოხდებოდა პროდუქტების კვებითი ღირებულებების გაანგარიშება და მენიუს დაგეგმვა.<br>ამასთან, წარმოდგენილ მასალებში არ ჩანს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროდუქტების საშუალო კალორიულობის ერთიანი ნიშნული, რაც აუცილებელია სხვადასხვა სახეობისა და ჯიშის პროდუქტების ენერგეტიკული განსხვავებების გასათვალისწინებლად. ასევე არ იკვეთება აღნიშნული მონაცემების დამტკიცება უფლებამოსილი პირის მიერ, რაც წარმოადგენს სავალდებულო მოთხოვნას ინდიკატორის ფარგლებში.<br>შედეგად, დაწესებულებაში არ არის დოკუმენტურად გამყარებული და დამტკიცებული კვებითი მაჩვენებლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა მენიუს შემუშავების პროცესში პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის სწორ და სტანდარტიზებულ გამოყენებას, რაც ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნებს.<br>დაწესებულებაში წარმოდგენილია პერსპექტიული მენიუ, რომელიც ფორმალურად ასახულია „სამაგალითო მენიუ I კვირა" და I კვირა" ფორმატში და მოიცავს კვების ჯერებს (საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი) და კერძების ჩამონათვალს შესაბამის დღეებზე გადანაწილებით. | **რეკომენდაციები**<br>1.აუცილებელია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ერთიანი, ინტეგრირებული კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც გააერთიანებს მენიუს დაგეგმვის, პროდუქტებით უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და დოკუმენტირების პროცესებს.<br>2.უნდა განისაზღვროს მენიუს შემუშავების პროცედურა, პასუხისმგებელი პირი და მენიუს პერიოდული გადახედვის სიხშირე.<br>3.აუცილებელია მენიუს ცვლილების (ჩანაცვლების) მკაფიო წესის გაწერა გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნების პრინციპის დაცვით.<br>4.უნდა შემუშავდეს საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მოიცავს შესყიდვის წესებს, მომარაგების სიხშირეს და მენიუს შესაბამისი პროდუქტებით უზრუნველყოფის პროცესს.<br>5.უნდა განისაზღვროს კვების პროცესის მონიტორინგის მექანიზმები, პასუხისმგებელი პირები და რეგულარული ჩანაწერების წარმოების სისტემა.<br>6.აუცილებელია ალერგიისა და კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვთა კვების მართვის ერთიანი პროცედურის შემუშავება, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას, ინდივიდუალური კვების წესებს და ექიმის რეკომენდაციების გათვალისწინებას.<br>7.უნდა განისაზღვროს მშობლის მიერ შემოტანილი საკვების უსაფრთხოების მოთხოვნები, მათ შორის ეტიკეტირების, შენახვისა და გამოყენების წესები.<br>8.აუცილებელია გადაუდებელ შემთხვევებში (მათ შორის ანაფილაქსიის დროს) მოქმედების მკაფიო და ეტაპობრივი გეგმის შემუშავება.<br>9.უნდა შემუშავდეს პროდუქტებისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლის სრულყოფილი მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კონტროლის ეტაპებს, სიხშირეს და დოკუმენტირების წესებს.<br>10.უნდა განისაზღვროს და მკაფიოდ გაიწეროს მზა კერძების სინჯის აღების, შენახვისა და მიკვლევადობის პრაქტიკული პროცედურები.<br>11.აუცილებელია საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების დეტალური პროცედურების გაწერა.<br>12.უნდა განისაზღვროს გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავებისა და უსაფრთხო გამოყენების სპეციფიკური მეთოდები.<br>13.უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს გამოყენებული პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის ერთიანი ცხრილი.<br>14.აუცილებელია პერსპექტიული მენიუს სრულყოფა სეზონურობის გათვალისწინებით 10-დღიანი ან 2-კვირიანი ფორმატით, სადაც თანდართული იქნება მენიუ ფაქტურები, ყველა სავალდებულო კომპონენტის გათვალისწინებით (გრამაჟები, კერძების სრული ჩამონათვალი და სხვ.).<br>15.უნდა უზრუნველყოფილ იქნას პერსპექტიული მენიუს | **რჩევები**<br>1.სასარგებლო იქნება კვების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ვიზუალური და ლოგიკური სტრუქტურის გაუმჯობესება, რათა იგი მარტივად აღსაქმელი და გამოყენებადი იყოს ყველა ჩართული პირისთვის.<br>2.მიზანშეწონილია პერსონალის ჩართულობის გაზრდა კვების პროცესის მართვაში, რაც ხელს შეუწყობს დოკუმენტების უკეთ გააზრებას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას.<br>3.ყურადღება შეიძლება გამახვილდეს შიდა კომუნიკაციის გაძლიერებაზე, განსაკუთრებით კვების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში ინფორმაციის დროული გაცვლის მიზნით.<br>4.სასარგებლო იქნება კვების პროცესის პერიოდული შიდა გადახედვის პრაქტიკის ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს არსებული მიდგომების გაუმჯობესებას.<br>5.მიზანშეწონილია დოკუმენტაციისა და პრაქტიკის შორის შესაბამისობის პერიოდული შეფასება, რათა გამოვლინდეს შესაძლო განსხვავებები და გაუმჯობესების საჭიროებები.<br>6.ყურადღება შეიძლება გამახვილდეს პერსონალის ცნობიერების ამაღლებაზე სურსათის უვნებლობის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით.<br>7.სასარგებლო იქნება ბავშვთა კვების პროცესში ასაკობრივი თავისებურებების უკეთ გათვალისწინება ყოველდღიურ პრაქტიკაში.<br>8.მიზანშეწონილია კვების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს როგორც შიდა კონტროლს, ისე მშობლებთან კომუნიკაციას.<br>9.ყურადღება შეიძლება გამახვილდეს დოკუმენტაციის რეგულარულ განახლებაზე, რათა იგი მუდმივად შეესაბამებოდეს მოქმედ მოთხოვნებს და პრაქტიკულ საჭიროებებს.<br>10.სასარგებლო იქნება საუკეთესო პრაქტიკების გაცნობა და მათი ეტაპობრივი დანერგვა კვების ორგანიზების პროცესში. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.1 | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ [illegible]) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | „ქედლების საბავშვო ბაღში" კვების პროცესი ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული დღის განრიგის საფუძველზე და კვების მიწოდება ხორციელდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს.<br>ზამთრის პერიოდი (ნოემბერი – მარტი)<br>·საუზმე – 11:00–11:20<br>·წახემსება – 12:00–12:15<br>·სადილი – 13:00–13:30<br>·სამხარი – 16:00–16:30<br>ზაფხულის პერიოდი<br>·საუზმე – 09:45–10:20<br>·წახემსება – 11:20–11:30<br>·სადილი – 13:00–13:30<br>·სამხარი – 16:00–16:30<br>აღნიშნული განრიგი მიუთითებს, რომ კვების პროცესი დაგეგმილია რეგულარული დროის ინტერვალებით და გათვალისწინებულია სეზონური თავისებურებები.<br>თუმცა, არ იკვეთება, რამდენად არის უზრუნველყოფილი კვებებს შორის დროის ინტერვალების თანაბარი გადანაწილება და მათი კავშირი ენერგეტიკული ღირებულების განაწილების პრინციპებთან, რაც საჭიროებს დამატებით სისტემატიზაციას.<br>სააღმზრდელო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, დაწესებულებაში ბავშვების კვება უზრუნველყოფილია ოთხჯერადად — ორი ძირითადი კვება და ორი წახემსება. აღნიშნული სქემა სრულად შეესაბამება მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტს, რომელიც განსაზღვრავს კვების ჯერადობას 9 საათამდე დასწრების ხანგრძლივობის პირობებში. აღნიშნული დასტურდება მენიუ-ფაქტურებით, სადაც დეტალურადაა ასახული საუზმე, დილის წახემსება, სადილი და სამხარი.<br>დაწესებულებაში მენიუს დაგეგმვა ეფუძნება ენერგეტიკული ღირებულების განაწილების პრინციპებს, თუმცა წარმოდგენილი 10-დღიანი მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ რეალური განაწილება არ არის სრულად შესაბამისი დადგენილ პროპორციებთან.<br>ცხრილში ასახული მონაცემების მიხედვით იკვეთება, რომ:<br>·საუზმე ძირითადად სტაბილურია, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში (მაგ.: 8-ე დღე) აღემატება რეკომენდებულ მაჩვენებელს;<br>·წახემსება არათანაბრად ნაწილდება და რიგ დღეებში (3-ე, 5-ე დღე) მნიშვნელოვნად აჭარბებს რეკომენდებულ წილს;<br>·სადილი სისტემურად დომინანტურია და რიგ შემთხვევებში აღემატება განსაზღვრულ ~30%-იან მაჩვენებელს;<br>·შუადღის წახემსება ხასიათდება მკვეთრი მერყეობით, რაც მიუთითებს ენერგეტიკული განაწილების არათანაბარ დაგეგმვაზე.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მენიუს დაგეგმვა კონცეპტუალურად ეფუძნება სწორ პრინციპებს, პრაქტიკაში ენერგეტიკული ღირებულების გადანაწილება დღეების მიხედვით არ არის სრულად დაბალანსებული და საჭიროებს უფრო თანმიმდევრულ და სტანდარტიზებულ მიდგომას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინდიკატორით განსაზღვრული პროპორციების დაცვა.<br>დაწესებულებაში წარმოდგენილია დამტკიცებული სამაგალითო პერსპექტიული მენიუ და მენიუ-ფაქტურა, რაც დოკუმენტურად მიუთითებს მენიუს დაგეგმვის სისტემის არსებობაზე . ამასთან, სამაგალითო მენიუში დეტალურად არის გაწერილი კვების კომპონენტები და კერძების ჩამონათვალი კვების ჯერების მიხედვით .<br>თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ სამაგალითო მენიუსა და მენიუ-ფაქტურას შორის არ არის უზრუნველყოფილი სრულყოფილი შესაბამისობა. კერძოდ, სამაგალითო მენიუში გათვალისწინებული ცალკეული კომპონენტები და კერძები არ არის სრულად ასახული მენიუ-ფაქტურაში, რაც მიუთითებს მენიუს დაგეგმვისა და მისი პრაქტიკული განხორციელების პროცესებს შორის შეუსაბამობაზე.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად წარმოდგენილია მენიუს დაგეგმვის საფუძველი, არ იკვეთება მისი თანმიმდევრული და ერთგვაროვანი გამოყენება მენიუ-ფაქტურის დონეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას.<br>მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძის (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) გამეორება არ ხდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით, რაც ასახულია სამაგალითო პერსპექტიულ მენიუში .<br>თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამაგალითო მენიუსა და მენიუ-ფაქტურას შორის არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისობა. კერძოდ, სამაგალითო მენიუში გათვალისწინებული მრავალფეროვნებისა და გამეორების ინტერვალების დაცვის პრინციპი არ არის ასახული მენიუ-ფაქტურაში, სადაც არ იკვეთება აღნიშნული მოთხოვნების თანმიმდევრული დაცვა.<br>შედეგად, მენიუს დაგეგმვის დონეზე განსაზღვრული პრინციპები არ არის გადატანილი მენიუს ფაქტობრივ განხორციელებაში, რაც ვერ უზრუნველყოფს ინდიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილებას.<br>საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე), რაც გათვალისწინებულია სამაგალითო პერსპექტიულ მენიუში .<br>თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამაგალითო მენიუსა და მენიუ-ფაქტურას შორის არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისობა. კერძოდ, საუზმის კომპონენტების სრულყოფილი სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრულია სამაგალითო მენიუში, მენიუ-ფაქტურაში სრულად არ არის ასახული და არ იკვეთება ყველა სავალდებულო კომპონენტის თანმიმდევრული დაცვა.<br>შედეგად, საუზმის დაგეგმვის პრინციპი დოკუმენტურად განსაზღვრულია, თუმცა მისი პრაქტიკული ასახვა მენიუ-ფაქტურაში არ არის უზრუნველყოფილი, რაც ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას.<br>სადილის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მრავალკომპონენტიანი მიდგომა, რომელიც მოიცავს 4 ან 5 კომპონენტს და სავალდებულო ელემენტებს — პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამაგალითო მენიუსა და მენიუ-ფაქტურას შორის არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისობა. კერძოდ, სადილის კომპონენტური სრულობა, რომელიც განსაზღვრულია სამაგალითო მენიუში, მენიუ-ფაქტურაში სრულად არ არის ასახული და არ იკვეთება ყველა სავალდებულო კომპონენტის თანმიმდევრული დაცვა.<br>შედეგად, სადილის დაგეგმვის პრინციპი დოკუმენტურად განსაზღვრულია, თუმცა მისი ასახვა მენიუს ფაქტობრივ დოკუმენტში არ არის უზრუნველყოფილი, რაც ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას.<br>წახემსების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ჯანსაღი კომპონენტების გამოყენება, მათ შორის შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულეული, ახალი ხილი, ბოსტნეული, რძე და დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმი. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამაგალითო მენიუსა და მენიუ-ფაქტურას შორის არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისობა. კერძოდ, წახემსების შემადგენლობის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია სამაგალითო მენიუში, მენიუ-ფაქტურაში სრულად არ არის ასახული და არ იკვეთება აღნიშნული კომპონენტების თანმიმდევრული გამოყენება.<br>შედეგად, წახემსების დაგეგმვის პრინციპი დოკუმენტურად განსაზღვრულია, თუმცა მისი ასახვა მენიუს ფაქტობრივ დოკუმენტში არ არის უზრუნველყოფილი, რაც ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას.<br>წახემსების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ჯანსაღი კომპონენტების გამოყენება, მათ შორის შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულეული, ახალი ხილი, ბოსტნეული, რძე და დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმი. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამაგალითო მენიუსა და მენიუ-ფაქტურას შორის არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისობა. კერძოდ, წახემსების შემადგენლობის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია სამაგალითო მენიუში, მენიუ-ფაქტურაში სრულად არ არის ასახული და არ იკვეთება აღნიშნული კომპონენტების თანმიმდევრული გამოყენება.<br>ამასთან, მენიუ-ფაქტურაში ფიქსირდება რძის გამოყენება, თუმცა იგი არ წარმოადგენს სისტემურად გაწერილი კომპონენტური სტრუქტურის თანმიმდევრულ შესრულებას.<br>შედეგად, წახემსების დაგეგმვის პრინციპი დოკუმენტურად განსაზღვრულია, თუმცა მისი ასახვა მენიუს ფაქტობრივ დოკუმენტში არ არის უზრუნველყოფილი | **რეკომენდაციები**<br>1.აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას სამაგალითო პერსპექტიული მენიუსა და მენიუ-ფაქტურის სრულყოფილი შესაბამისობა, ისე რომ მენიუ-ფაქტურა ზუსტად ასახავდეს პერსპექტიულ მენიუში განსაზღვრულ კერძებსა და კომპონენტებს.<br>2.უნდა დაინერგოს მექანიზმი, რომლის მიხედვითაც მენიუ-ფაქტურის შედგენისას სავალდებულო იქნება პერსპექტიულ მენიუზე პირდაპირი მიბმა და მისი გადახრა დასაშვები იქნება მხოლოდ დოკუმენტურად დასაბუთებული შემთხვევების ფარგლებში.<br>3.აუცილებელია კვების თითოეული ჯერის (საუზმე, სადილი, წახემსება) კომპონენტური სტრუქტურის მკაცრი დაცვა მენიუ-ფაქტურაში, მათ შორის სავალდებულო ელემენტების სრულად ასახვა.<br>4.უნდა უზრუნველყოფილ იქნას კერძების მრავალფეროვნებისა და გამეორების ინტერვალების (არანაკლებ 2 დღე) მკაცრი დაცვა მენიუ-ფაქტურის დონეზე.<br>5.აუცილებელია საუზმის სტრუქტურის (სასმელი, მარცვლოვანი, რძის პროდუქტი, ხილი) სრულყოფილი ასახვა მენიუ-ფაქტურაში ყოველ დღეზე.<br>6.უნდა უზრუნველყოფილ იქნას სადილის კომპონენტური სრულობა (პური, წყალი, ძირითადი კერძი, გარნირი და დამატებითი კომპონენტები) მენიუ-ფაქტურაში თანმიმდევრულად.<br>7.აუცილებელია წახემსების შემადგენლობის სტანდარტიზაცია მენიუ-ფაქტურაში, ისე რომ სისტემურად აისახოს ჯანსაღი კომპონენტები (ბურღულეული, ხილი, ბოსტნეული, რძის ნაწარმი).<br>8.უნდა განხორციელდეს კვებითი კომპონენტების თანმიმდევრული კონტროლი, რათა ცალკეული პროდუქტების (მაგ.: რძის) შემთხვევითი გამოყენება ჩანაცვლდეს სტრუქტურირებულ და სისტემურ მიდგომით.<br>9.აუცილებელია მენიუ-ფაქტურის შემუშავების პროცესში კონტროლის მექანიზმის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას დამტკიცებულ მენიუსთან დოკუმენტის დამტკიცებამდე.<br>10.უნდა განისაზღვროს პასუხისმგებელი პირი ან ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მენიუსა და მენიუ-ფაქტურის შესაბამისობის რეგულარულ შემოწმებას და კონტროლს. | **რჩევები**<br>1.უმჯობესი იქნება მენიუსა და მენიუ-ფაქტურას შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რაც გააძლიერებს კვების პროცესის თანმიმდევრულობას.<br>2.უმჯობესი იქნება მენიუ-ფაქტურაში კომპონენტების სრული და თანმიმდევრული ასახვა, რაც უზრუნველყოფს კვების თითოეული ჯერის სტრუქტურის უკეთ აღქმას.<br>3.უმჯობესი იქნება კვების ჯერების (საუზმე, სადილი, წახემსება) სტრუქტურის ერთგვაროვანი წარმოდგენა, რაც გაამარტივებს დოკუმენტების გამოყენებას.<br>4.უმჯობესი იქნება კერძების მრავალფეროვნების ერთგვაროვანი ასახვა ყველა დოკუმენტში, რაც ხელს შეუწყობს მენიუს დაბალანსებულ წარმოდგენას.<br>5.უმჯობესი იქნება მენიუს დაგეგმვასა და მის ასახვას შორის შესაბამისობის პერიოდული გადამოწმება, რაც უზრუნველყოფს შესაძლო აცდენების დროულ გამოვლენას. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br>საუზმე =20%<br>წახემსება =10%<br>სადილი =30%<br>შუადღის წახემსება =15%<br>ვახშამი =15%<br>საღამოს წახემსება =10% | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა შესაბამისია შემდეგ მოთხოვნებთან (მონაცემები გამოტანილია 9 საათიანი მომსახურების შემთხვევაში, უფრო მეტი/ნაკლები დროით ბავშვის დაწესებულებაში დაყოვნების შემთხვევაში, ექსპერტმა კვების ჯერადობისა და გადანაწილების მიხედვით უნდა გამოიანგარიშოს შესაბამისი პროპორციული მოთხოვნები, [illegible] | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | **რჩევა :**<br>მენიუ-ფაქტურის შემუშავებისა და გადამუშავების პროცესში მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს კვებითი მაჩვენებლების სისტემურ დაბალანსებაზე, ისე რომ ერთდროულად იყოს უზრუნველყოფილი როგორც ენერგეტიკული ღირებულების, ასევე მაკროელემენტების (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) და [illegible] | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ): | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | „ქედლების საბავშვო ბაღის“ დაწესებულების 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით შეადგენს დაახლოებით 1292 კილოკალორიას, რაც შეესაბამება დადგენილ ნორმას.<br>წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, კალორიულობა ცალკეულ დღეებში მერყეობს (1282,24 კკალ-დან 1292,53 კკალ-მდე), თუმცა აღნიშნული ცვალებადობა ძირითადად თავსდება დასაშვებ ზღვარში (+/-10 კკალ).<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ცილის შემცველობა დღეების მიხედვით მერყეობს 37,81 გრამიდან 51,2 გრამამდე. საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 45,4 გრამს, რაც ნაკლებია განსაზღვრულ ნორმასთან (50,37 გრამი) შედარებით.<br>ამასთან, ცალკეულ დღეებში ცილის რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება დასაშვებ ზღვარს (±5 გრამი), რაც მიუთითებს ცილოვანი ბალანსის არათანაბარ განაწილებაზე.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ დღეებში მაჩვენებელი უახლოვდება ნორმას, მთლიანობაში ცილის შემცველობა არ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას და საჭიროებს უკეთ დაბალანსებას.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ცხიმის შემცველობა დღეების მიხედვით მერყეობს 41,32 გრამიდან 52,25 გრამამდე. საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 46,6 გრამს, რაც ნაკლებია განსაზღვრულ ნორმასთან (49,57 გრამი) შედარებით.<br>ამასთან, ცალკეულ დღეებში ცხიმის რაოდენობა ჩამოუვარდება დასაშვებ ზღვარს (±5 გრამი), რაც მიუთითებს ცხიმოვანი კომპონენტის არათანაბარ განაწილებაზე.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ დღეებში მაჩვენებელი უახლოვდება ნორმას, მთლიანობაში ცხიმის შემცველობა არ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას და საჭიროებს უფრო თანმიმდევრულ დაბალანსებას.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ნახშირწყლების შემცველობა დღეების მიხედვით მერყეობს 157,16 გრამიდან 220,3 გრამამდე. საშუალო არითმეტიკული მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 173,3 გრამს, რაც აღემატება განსაზღვრულ ნორმას (160,82 გრამი).<br>ამასთან, ცალკეულ დღეებში ნახშირწყლების რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს დასაშვებ ზღვარს (±5 გრამი), რაც მიუთითებს ნახშირწყლების არათანაბარ და გადაჭარბებულ განაწილებაზე.<br>შედეგად, ნახშირწყლების შემცველობა არ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას და საჭიროებს შემცირებასა და უფრო დაბალანსებულ გადანაწილებას დღის ჭრილში.<br>ინდიკატორი ადგენს, რომ 10 დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვზე პური, მარცვლეული და ბურღულეული ჯამურად უნდა შეადგენდეს 1300 გრამს, საიდანაც პური უნდა იყოს დაახლოებით 1000 გრამი, ხოლო მარცვლეული და ბურღულეული — დაახლოებით 300 გრამი.<br>წარმოდგენილი მონაცემებით პური შეადგენს 1180 გრამს, ხოლო მარცვლეული და ბურღულეული ჯამურად — 245 გრამს, რაც მთლიანობაში იძლევა 1425 გრამს. შესაბამისად, როგორც პურის, ისე მარცვლეულისა და ბურღულეულის განაწილება არ შეესაბამება განსაზღვრულ პროპორციას: პური წარმოდგენილია ჭარბად, ხოლო მარცვლეული და ბურღულეული — ნაკლებად.<br>ამასთან, ფუნთუშის/ნამცხვარი-კექსის გამოყენება შეადგენს 80 გრამს, რაც ასევე აღემატება დასაშვებ ზღვარს, რადგან საკონდიტრო ნაწარმი 10 დღის განმავლობაში ერთ ბავშვზე 40 გრამს არ უნდა აღემატებოდეს.<br>შედეგად, აღნიშნული სურსათობრივი ჯგუფის რაოდენობრივი განაწილება ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას, ვინაიდან დარღვეულია როგორც ჯგუფის შიდა პროპორცია, ისე საკონდიტრო ნაწარმის დასაშვები ზღვარი.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ხილის, კარტოფილისა და ბოსტნეულის ჯგუფში დადგენილი რაოდენობრივი ნორმები დაცული არ არის.<br>კერძოდ, კარტოფილის რაოდენობა შეადგენს 2050 გრამს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება განსაზღვრულ მაჩვენებელს (≈1200 გ). ამასთან, ხილის რაოდენობა წარმოდგენილია მხოლოდ 245,4 გრამით, რაც არსებითად ჩამოუვარდება მოთხოვნილ ≈1300 გრამს. ბოსტნეულის ჯამური რაოდენობა წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით შეადგენს დაახლოებით 846,5 გრამს (კომბოსტო, ლობიო, ბროკოლი, ჭარხალი, სტაფილო, მწვანილი, ნიორი, ხახვი), რაც ასევე მნიშვნელოვნად ნაკლებია განსაზღვრულ ≈1800 გრამიან ნორმასთან შედარებით.<br>ამასთან, წარმოდგენილ მენიუ-ფაქტურაში არ ფიქსირდება მთელი რიგი პროდუქტების გამოყენება, რომლებიც ამ ჯგუფის მრავალფეროვნებას უნდა უზრუნველყოფდეს.<br>შედეგად, აღნიშნულ ჯგუფში დარღვეულია როგორც რაოდენობრივი ბალანსი, ისე შიდა სტრუქტურა: კარტოფილი გამოყენებულია ჭარბად, ხოლო ხილისა და ბოსტნეულის მოცულობა და მრავალფეროვნება არასაკმარისად არის წარმოდგენილი, რაც ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ რძისა და რძის პროდუქტების ჯგუფში დადგენილი რაოდენობრივი ნორმები დაცული არ არის.<br>კერძოდ, დასალევი რძის რაოდენობა შეადგენს 1800 მლ-ს (180 მლ × 10 დღე), რაც აღემატება განსაზღვრულ მაჩვენებელს (≈1500 მლ). ამასთან, სხვა რძისა და რძის პროდუქტების ჯამური რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 1066,66 მლ/გრამს (მაწონი — 691,66; არაჟანი — 130; ყველი — 145; ხაჭო — 100), რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მოთხოვნილ ≈3370 მლ/გრამს.<br>შედეგად, 10 დღის ჭრილში რძისა და რძის პროდუქტების საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 2866,66 მლ/გრამს, რაც ნაკლებია ინდიკატორით განსაზღვრულ 4870 მლ/გრამთან შედარებით. შესაბამისად, ჯგუფის შიდა სტრუქტურა არ არის დაბალანსებული: დასალევი რძე გამოყენებულია ჭარბად, ხოლო რძის სხვა პროდუქტები — არასაკმარისი ოდენობით.<br>ამრიგად, რძისა და რძის პროდუქტების ჯგუფში რაოდენობრივი განაწილება ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი ცხადყოფს, რომ ხორცპროდუქტების ჯგუფში ინდიკატორით განსაზღვრული რაოდენობრივი და სტრუქტურული მოთხოვნები სრულად დაცული არ არის.<br>კერძოდ, საქონლის რბილი ხორცის რაოდენობა შეადგენს 322,91 გრამს, რაც ნაკლებია განსაზღვრულ 440 გრამთან შედარებით. ქათმის ფილე წარმოდგენილია 302,5 გრამით, რაც აღემატება მოთხოვნილ 200 გრამს. თევზის ფილეს რაოდენობა კი შეადგენს 160 გრამს, რაც ასევე ჩამოუვარდება დადგენილ 200 გრამიან მაჩვენებელს.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ხორცპროდუქტების საერთო მოცულობა ჯამურად უახლოვდება მოთხოვნილ ოდენობას, ჯგუფის შიდა განაწილება არ შეესაბამება ინდიკატორით განსაზღვრულ პროპორციას: საქონლის რბილი ხორცი და თევზის ფილე წარმოდგენილია ნაკლები ოდენობით, ხოლო ქათმის ფილე — ჭარბად. შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორით განსაზღვრულ მოთხოვნას.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ ცხიმის ჯგუფში ინდიკატორით განსაზღვრული რაოდენობრივი მოთხოვნები ფორმალურად დაკმაყოფილებულია, თუმცა შიდა განაწილება სრულად თანხვედრაში არ არის დადგენილ პროპორციებთან.<br>კერძოდ, მცენარეული ზეთის ჯამური რაოდენობა შეადგენს 96 გრამს, რაც მცირედით ჩამოუვარდება განსაზღვრულ 100 გრამიან მაჩვენებელს, ხოლო ნაღების კარაქის რაოდენობა შეადგენს 105 გრამს, რაც ასევე ნაკლებია დადგენილ 120 გრამთან შედარებით. ამდენად, ორივე კომპონენტში იკვეთება დეფიციტი და ცხიმის ჯგუფის ჯამური მოცულობა შეადგენს 201 გრამს, ნაცვლად მოთხოვნილი 220 გრამისა.<br>შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მცენარეული ზეთისა და ნაღების კარაქის გამოყენება მენიუ-ფაქტურაში ასახულია, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები ვერ აღწევს ინდიკატორით განსაზღვრულ ოდენობებს, რის გამოც აღნიშნული მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულად ვერ შეფასდება. | **რეკომენდაციები**<br>1. აუცილებელია მენიუ-ფაქტურის გადამუშავება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ენერგეტიკული ღირებულებისა და მაკროელემენტების (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) შესაბამისობა ინდიკატორით განსაზღვრულ ნორმებთან, მათ შორის საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლებისა და დასაშვები ცვალებადობის ფარგლებში .<br>2. უნდა განხორციელდეს ცილისა და ცხიმის შემცველობის ზრდა მენიუში შესაბამისი სურსათობრივი ჯგუფების (ხორცი, თევზი, რძის პროდუქტები) ოპტიმიზაციის გზით, ხოლო ნახშირწყლების შემცველობა უნდა შემცირდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მაკროელემენტების დაბალანსებული განაწილება .<br>3. აუცილებელია პურის, მარცვლეულისა და ბურღულეულის ჯგუფის შიდა პროპორციის კორექტირება, ისე რომ პური არ აღემატებოდეს განსაზღვრულ მაჩვენებელს, ხოლო მარცვლეული და ბურღულეული მიაღწიოს მინიმალურ მოთხოვნილ ოდენობას .<br>4. უნდა გამოირიცხოს საკონდიტრო ნაწარმის ჭარბი გამოყენება და მისი რაოდენობა მკაცრად შეზღუდული იქნას ინდიკატორით განსაზღვრული ზღვრის ფარგლებში .<br>5. აუცილებელია ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ჯგუფის სრულყოფილი დაბალანსება, კერძოდ:<br>o კარტოფილის რაოდენობის შემცირება;<br>o ხილისა და ბოსტნეულის მოცულობის მნიშვნელოვნად გაზრდა;<br>o პროდუქტის მრავალფეროვნების უზრუნველყოფა სავალდებულო ასორტიმენტის ჩართვით .<br>6. უნდა განხორციელდეს რძისა და რძის პროდუქტების ჯგუფის გადანაწილება ისე, რომ შემცირდეს დასალევი რძის ჭარბი გამოყენება და გაიზარდოს ფერმენტირებული და სხვა რძის პროდუქტების წილი ინდიკატორით განსაზღვრული პროპორციების შესაბამისად .<br>7. აუცილებელია ხორცპროდუქტების ჯგუფში შიდა სტრუქტურის კორექტირება, კერძოდ:<br>o საქონლის რბილი ხორცისა და თევზის ფილეს რაოდენობის გაზრდა;<br>o ქათმის ფილეს შემცირება დადგენილ პროპორციამდე .<br>8. უნდა უზრუნველყოფილ იქნას ცხიმის ჯგუფში მცენარეული და ცხოველური ცხიმების რაოდენობრივი შესაბამისობა დადგენილ მაჩვენებლებთან, მათ შორის ჯამური რაოდენობის სრულად მიღწევა .<br>9. აუცილებელია მენიუ-ფაქტურაში სურსათობრივი ჯგუფების რაოდენობრივი და სტრუქტურული მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმება, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან .<br>10. უნდა დაინერგოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მენიუს დაგეგმვისას ყველა სავალდებულო ნორმის ერთდროულ დაცვას (ენერგეტიკული ღირებულება, მაკროელემენტები, სურსათობრივი ჯგუფები და მათი პროპორციები) და არ დაუშვებს ცალკეული მაჩვენებლების ხარჯზე სხვების დარღვევას | სურსათობრივი ჯგუფების რაოდენობრივი და შიდა სტრუქტურული შესაბამისობა.<br>ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მენიუს დაგეგმვა არ განხორციელდეს ცალკეული მაჩვენებლების კორექტირების გზით, არამედ კომპლექსურად — ყველა ინდიკატორის ურთიერთკავშირში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს როგორც კვებითი ბალანსის დაცვას, ისე ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას. | აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის | | | | | | | | |
| | პური =1000გ<br>მარცვლეული და ბურღულეული =300გ<br>საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | ხილი =1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული =1800გ<br>კარტოფილი =1200გ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | რძე დასალევად =1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი =3370 მლ. | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის მოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის ანალიზი აჩვენებს, რომ მარილის გამოყენება ყველა დღის განმავლობაში შეადგენს 1 გრამს, რაც სრულად თავსდება ინდიკატორით განსაზღვრულ მაქსიმალურ დღიურ ზღვარში (≤3 გრამი).<br>რაც შეეხება თავისუფალი შაქრის მოხმარებას, მისი რაოდენობა მერყეობს 10 გრამიდან 25 გრამამდე. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, შაქრის რაოდენობა არცერთ დღეს არ აჭარბებს დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს (≤25 გრამი),<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციების განხილვით. რომელიც ეფუძნება თითოეული დღის რაციონის შინაარსს, პროდუქტების ტიპებსა და გამოყენებული ინგრედიენტების შედგენილობას.<br>მიღებული მონაცემების მიხედვით, კვების რაციონი დაგეგმილია უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სტანდარტებისდაცვით. მენიუში არ იკვეთება ისეთი პროდუქტები, რომელთა გამოყენება შეზღუდულია ან აკრძალულია ბავშვთა კვებაში. კერძოდ:<br>• არ ფიქსირდება კოფეინის შემცველი პროდუქტები, მათ შორის ყავა და შავი ჩაი;<br>• არ არის გამოყენებული ტკბილი, გაზიანი, აღდგენილი ან ენერგეტიკული სასმელები;<br>• არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური ან დიეტური პროდუქტები;<br>• არ იძენება გარეული ფრინველის ხორცი, იხვისა და ბატის კვერცხი;<br>• არ ფიქსირდება სოკო (კულტივირებული ან არაკულტივირებული);<br>• არ შეინიშნება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი.<br>ასევე აღსანიშნავია, რომ არ ჩანს კვების რაციონში აკრძალული საკვები დანამატები, მათ შორის: ნატრიუმის ბენზოატი (E211), ტარტრაზინი (E102), ქინოლინისებრი ყვითელი (E104), ყვითელი „მზის ჩასვლა“ (E110), კარმუაზინი (E122), პონსო ალისფერი 4R (E124) და წითელი ალურა AC (E129).<br>ლიმიტირებული ინგრედიენტების — კერძოდ, მარილისა და თავისუფალი შაქრის — გამოყენება, როგორც მოსალოდნელია ბავშვთა კვების სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად, წარმოდგენილია ზომიერად. კერძების ტექნოლოგიური შინაარსიდან და დამუშავების მეთოდებიდან გამომდინარე, შეიძლება დასკვნა, რომ მათი დღიური დოზები არ აღემატება დასაშვებ ზღვარს. | | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით თავისუფალი შაქრის მოხმარების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 25 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველ პროდუქტები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ყავა და შავი ჩაი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები (მათ შორის ხილის სასმელების, გაზიანი/უალკოჰოლო სასმელების, აღდგენილი სასმელების (გარდა რძისა), ენერგეტიკული სასმელების) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები (მაგ: ქოლესტეროლის დამწევი ან უჯრედისის მაღალი შემცველობის სურსათი და სხვ.) გარდა იმ შემთხვევისა თუ სპეციალურ საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის მიერ წარმოდგენილია სპეციალისტის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მენიუ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება გარეული ფრინველის ხორცი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება იხვისა და ბატის კვერცხი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კულტივირებული თუ არაკულტივირებული სოკო | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუშიი არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი (გარდა იმ შემთხვევისა თუ კვებითი აუტანლობის მექანიზმში გაწერილია მსგავსი პროცედურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება შემდეგი საკვებდანამატები:<br>ნატრიუმის ბენზოატი (E211)- კონსერვანტი<br>ტარტრაზინი(E102) - საღებავი<br>ქინოლინისებრი ყვითელი (E104) - საღებავი<br>ყვითელი "მზის ჩასვლა" (E110) - საღებავი<br>კარმუაზინი (E122) - საღებავი<br>პონსო ალისფერი 4R (E124) - საღებავი<br>წითელი ალურა AC (E129) - საღებავი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5 | **კვების მიწოდება და უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილია შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი, რაც მიუთითებს, რომ კვების პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა შესაბამის დონეზეა წარმოდგენილი.<br>ამასთან, დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების კვების პროცესი პრაქტიკაში კონტროლდება საგანმანათლებლო პერსონალისა და ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ, აღნიშნული პროცესი არ არის ფორმალიზებული და არ იკვეთება დოკუმენტურად გაწერილი მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავდა პასუხისმგებელ პირებს, კონტროლის უწყვეტობასა და შესაბამის დოკუმენტირების სისტემას. | **რეკომენდაცია:**<br>რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ბავშვების კვების პროცესზე ზედამხედველობის მკაფიო მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება მონიტორინგის წესი, პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, კონტროლის კრიტერიუმები, გამოვლენილ შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები და შესრულების დამადასტურებელი ჩანაწერების წარმოების მექანიზმი, რათა კვების პროცესის ზედამხედველობა იყოს არა მხოლოდ ფორმალურად განსაზღვრული, არამედ სისტემურად განხორციელებადი და დოკუმენტურად დადასტურებადი. | **რჩევები:**<br>1. სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ბავშვების კვების პროცესზე ზედამხედველობის პრაქტიკული მეთოდოლოგია, რომელშიც მკაფიოდ გაიწერება მონიტორინგის წესი, პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, დაკვირვების ძირითადი კრიტერიუმები და შესრულების დადასტურების ფორმები.<br>2. სასურველია, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო და ჯგუფის დამხმარე პერსონალმა გაიაროს შესაბამისი გადამზადება, რათა კვების პროცესის ზედამხედველობა განხორციელდეს ერთიანი მიდგომით, პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე და ბავშვთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ინტერესების სრული გათვალისწინებით. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი საგანმანათლებლო პერსონალის/ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |



მირანდა გორგილაძე 02/06/2026

## 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

დანართი №3

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ქედლების საბავშვო ბაღი | ბრძანების N: MES 1 26 0000230319, 26.02.2026 წ |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქედლები<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 31.03.2026 წ. |

**კრიტერიუმი 4.5.1. დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები**

| | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | 1. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი, დამტკიცებული ა.(ა)ი.პ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის N ბ17.98260512 ბრძანებით;<br>2. დაწესებულების მიერ შემუშავებული სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (სოპ-ები NN 2-19), დამტკიცებული ა.(ა)ი.პ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის N ბ17.98260515 ბრძანებით;<br>3. ქედლებჰის საბავშვო ბაღის სანიტარიულ-ჰიგიენური პროცედურების აღრიცხვა-დოკუმენტირებისთვის საჭირო ჟურნალები;<br>4. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქედლების საბავშვო ბაღის სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოცდის ოქმები: N 2225, 06.10.2025 წ; N 704, 14.03.2022 წ; N 5167, 01.10.2018 წ; N 7239, 25.12.2017 წ. |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (წესებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩათვლით) და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას (საჭიროების შემთხვევაში)** | | | | | ინდიკატორი 1. სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი - სოფ. ქედლების დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის N ბ17.98260512 ბრძანებით და არეგულირებს შემდეგ საკითხებს: 1.1 წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა - განსაზღვრულია დაწესებულების წყალმომარაგების წყარო, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ წყალმომარაგებას სოფლის წყალსადენის სახით - სოფელ ქედლების მთის წყაროს წყლები, სათავე ნაგებობიდან გამოყვანილი მილით, რომელიც გროვდება საბავშვო ბაღის წყალმომარაგებისათვის განკუთვნილ 2 სამარაგო ავზში 1,5 ტ და 1 ტ ტევადობის. მუდმივ მოქმედებაშია ერთი ავზი 1,5 ტ, ხოლო მეორე წარმოადგენს სათადარიგო ავზს. ავზები განთავსებულია საბავშვო ბაღის მიმდებარედ მაღლობზე, საიდანაც მილებით მიეწოდება საბავშვო ბაღს. დაწესებულების სანიტარიულ-ჰიგიენურ მექანიზმში მითითებულია სოფ. ქედლების საბავშვო ბაღის წყალმომარაგების წყარო, მაგრამ დეტალურად არ არის აღწერილი წყალმომარაგების სისტემის აგებულება, ავზების ტევადობა და სხვა. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გამოსაყენებელი სასმელი წყლის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების შეფასების მექანიზმი და კონტროლის საშუალებები (სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევები). დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციის სისტემით - ნახმარ-ნარეცხი წყლები და საკანალიზაციო სითხეები ჩაედინება დაწესებულების კუთვნილ სეპტიკურ ავზში, რომელიც წარმოადგენს კაპიტალურად ჩამოსხმულ ბეტონის ავზს თავსახურით; 1.2 სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა - შემუშავებულია შენობის შიდა სათავსებისა და გარე სივრცის, ინვენტარისა და მატერიალური რესურსების დასუფთავების წესები, რაც დასტურდება შესაბამისი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით (სოპ-ები N 06, 07, 08, 10, 11, 12, 13 და 15); 1.3 დასუფთავება და ნარჩენების მართვა - შემუშავებულია დაწესებულების შენობისა და ეზოს სივრცეების დასუფთავებისა და ნარჩენების შეგროვებისა და გატანის წესები, რაც გაწერილია შესაბამის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებში (სოპ-ები N 16 და 17); 1.4 საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა - შემუშავებულია საჰაერო-სითბური რეჟიმის დაცვის მექანიზმი, რაც გაწერილია შესაბამის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურაში (სოპ-ი N 05); 1.5 ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა - სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელ წესის მუხლი N 11-ში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ეპიდემიურ სამსახურთან ურთიერთობა, მაგრამ არ არის მითითებული კონკრეტული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სტრუქტურული ერთეული, ვისთანაც შედგება საჭირო კომუნიკაცია, ასევე არ არის მითითებული სოფ. ქედლების საბავშვო ბაღიდან ეპიდემიოლოგიურ სამსახურთან დაკავშირებაზე პასუხისმგებელი პირი და საკომუნიკაციო არხები. 1.6 სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი - დაწესებულებას გააჩნია გაერთიანების მიერ დამტკიცებული შაბლონით შემუშავებული 17 სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ-ი), თუმცა სოპ-ები არ არის იმპლიმენტირებული კონკრეტულად სოფ. ქედლების საბავშვო ბაღისთვის, არ არის ხელმოწერილი და დამტკიცებული, არ არის მითითებული კონკრეტული ქმედებებზე (პროცედურის ჩატარება, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ღონისძიება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაციის წარმოება/შენახვა, სოპ-ის გადახედვა) პასუხისმგებელი პირები (სახელითა და გვარით). გრაფაში "დამტკიცებულია" გაერთიანების დირექტორის პოზიციაზე მითითებულია სხვა პიროვნება - გაერთიანების მოადგილე ჯ. ართმელაძე. ერთმანეთს არ ემთხვევა სოპ-ისა და დანართების ნუმერაციები. დაწესებულების პერსონალი არ იცნობს სოპ-ებში მითითებულ წესებს. | 1.5 სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელ წესში დაწესებულებას განსაზღვრული უნდა ჰქონდეს ეპიდემიურ სამსახურთან ურთიერთობის კონკრეტული მექანიზმი, კერძოდ, მითითებული უნდა იქნას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ის კონკრეტული სტრუქტურული ერთეული, ვისთანაც შედგება საჭირო კომუნიკაცია, აღწერილი უნდა იქნას დაკავშირების მექანიზმი, ასევე მითითებული უნდა იქნას კონკრეტული პირი/პირები სოფ. ქედლების საბავშვო ბაღიდან, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ეპიდემიოლოგიურ სამსახურთან დაკავშირებაზე, განსაზღვრული უნდა იქნას დაკავშირებისათვის საჭირო საკომუნიკაციო არხები; 1.6 სოპ-ები უნდა იქნას იმპლიმენტირებული - მორგებული კონკრეტულად სოფ. ქედლების საბავშვო ბაღზე, უნდა იქნას ხელმოწერილი და დამტკიცებული შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ, მითითებული უნდა იქნას კონკრეტულ ქმედებებზე (პროცედურის ჩატარება, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ღონისძიება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაციის წარმოება/შენახვა, სოპ-ის გადახედვა) პასუხისმგებელი პირები (სახელითა და გვარით). სოპ-ებში გასწორებული იქნას დირექტორის პოზიციაზე მითითებული პიროვნების სახელი და გვარი. სოპ-ისა და დანართების ნუმერაციები უნდა იყოს თანხვედრაში. დაწესებულების პერსონალი უნდა იცნობდეს სოპ-ებში მითითებულ წესებს. | რჩევის სახით მიზანშეწონილია დეტალურად იქნას აღწერილი საბავშვო ბაღის წყალმომარაგების სისტემა, კერძოდ, წყალმომარაგების წყაროს დახასიათება, წყალმომარაგების სისტემის აგებულება, სამარაგო ავზები, მათი ტევადობა და მასალა, რისგანაც არის დამზადებული ავზი და მილები. რეკომენდირებულია დაწესებულებას გააჩნდეს სასმელი წყლის სამარაგე ავზისა და წყლის მილების მასალის სურსათთან დაშვებულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. | შეფასების ინდიკატორი: ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით; შეფასების ინდიკატორი: სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასუფთავება და ნარჩენების მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | ინდიკატორი 2. ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი: 2.1. ჯგუფური ოთახების იატაკი ლამინატით არის დაფარული, თუმცა აღინიშნება მცირე დაზიანებები და ნაპრალებით შეერთების ადგილებში. იატაკი ექვემდებარება სველი წესით დამუშავებას. პლინტუსები ალაგ-ალაგ დაზიანებულია, ცალკეულ ადგილებში პლინტუსი არ არის მოწყობილი, რაც ქმნის კედლისა და იატაკის შეერთების ადგილებში ჭუჭყის დაგროვების საფრთხეს და ამცირებს დასუფთავების ეფექტურობას. საძინებელი ოთახების იატაკი ლამინატისაა - გლუვი, ექვემდებარება სველი წესით დამუშავებას; 2.2 სანიტარიული კვანძების კედლები მოპირკეთებულია კაფელით, კარგ მდგომარეობაში და ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1,5 მ სიმაღლეზე, სამზარეულოს კედლები მოპირკეთებულია კაფელით სათანადო სიმაღლეზე, გარდა ერთი კედლისა, რომელიც ქვედა ნაწილში მცირედ დაზიანებულია (სალებავი აცლილია, ბათქაში დაზიანებული); 2.3 სან-კვანძის იატაკის საფარი მოპირკეთებულია მთლიანად, კარგ მდგომარეობაში, ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც. 1-ლ სართულზე განთავსებული საბავშვო საპირფარეშოების ჭერი არ არის მოპირკეთებული და აღინიშნება ჭერში გამავალი საკანალიზაციო მილები დაუცველ მდგომარეობაში 2.4 დაწესებულების შენობის სათავსებში მოწყობილია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები. | 2.1. ჯგუფური ოთახების იატაკი ლამინატი არ უნდა იყოს დაზიანებული და ნაპრალებით. დაზიანებული პლინტუსები უნდა შეიცვალოს ახლით, ყველა სათავსში კედლისა და იატაკის შეერთების ადგილებში უნდა მოეწყოს პლინტუსები, რომლებიც გამორიცხავენ ჭუჭყის დაგროვების საფრთხეს; 2.2 სამზარეულოს კედლები სრულად უნდა იქნას მოპირკეთებული კაფელით სათანადო სიმაღლეზე არანაკლებ 1,5 მ; 2.3 1-ლ სართულზე განთავსებული საბავშვო საპირფარეშოების ჭერი უნდა იქნას მოპირკეთებული სათანადოდ, რათა დაფარული იქნას ჭერში გამავალი საკანალიზაციო მილები. | | შეფასების ინდიკატორი: ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 24 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება ნაწილობრივი შეფასებით. |
| | სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **3** | **ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ინდიკატორი 3. ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი: 3.1 დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. 3.2 ბუნებრივი განათება ფანჯრების სახით გააჩნია დაწესებულების სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს ბავშვთა საგანმანათლებლო პროცესები, დაძინება და სენსო-მოტორული აქტივობები (ჯგუფური ოთახი); 3.3 ხელოვნური განათების წყაროა ცივი განათების ნათურების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შენობის ძირითადი სათავსების საკმარის და თანაბარ განათებას, თუმცა ხელოვნური განათება დაზიანებულია სასკოლო ჯგუფის (5-6 წლიანები) საპირფარეშოში; 3.4 ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახისა და სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით; 3.5 ჯგუფური და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ არის განთავსებული ოთახის მცენარეები. | 3.3 სასკოლო ჯგუფის (5-6 წლიანები) საპირფარეშო უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო ხელოვნური განათებით. | | შეფასების ინდიკატორი: ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების განათებისადმი - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 3 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **4** | **ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალარინებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით (ცივი და ცხელი წყალი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | ინდიკატორი 4. ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალარინებისადმი - 4.1 დაწესებულება უზრუნველყოფილია მუდმივი წყალმომარაგებით, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ წყალმომარაგებას სოფლის წყალსადენის სახით - სოფელ ქედლების მთის წყაროს წყლები, სათავე ნაგებობიდან გამოყვანილი მილით, რომელიც გროვდება საბავშვო ბაღის წყალმომარაგებისათვის განკუთვნილ 2 სამარაგო ავზში 1,5 ტ და 1 ტ ტევადობის. მუდმივ მოქმედებაშია ერთი ავზი 1,5 ტ, ხოლო მეორე ავზი წარმოადგენს სათადარიგოს. ავზები განთავსებულია საბავშვო ბაღის მიმდებარედ მაღლობზე, საიდანაც მილებით მიეწოდება საბავშვო ბაღს. დაწესებულების სასმელი წყლის გაუვნებლობისა და სამარაგო ავზების რეცხვა-დეზინფიცირების ღონისძიებებისათვის შემუშავებულია სოპ-ი N 3 (დანართი 4), მაგრამ სოპ-ში არ არის გათვალისწინებული რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, კერძოდ: სოპ-ში არ არის გამოყენებული ტექნიკური რეგლამენტი ადგილობრივი წყალმომარაგების სასმელ-სამეურნეო წყლის დამუშავებისა და წყალსადენის ნაგებობის დეზინფექციის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N 62 დადგენილება), მით უმეტეს, რომ სოპ-ით გათვალისწინებულია ამ პროცედურების ჩატარება დაწესებულების საკუთარი ძალებით; პროცედურის აღწერაში საკმარისად არ არის მითითებული ინფორმაცია წყალმომარაგების წყაროსა და სამარაგო ავზების შესახებ, არ არის წარმოდგენილი სასმელი წყლის გაუვნებლობისა და სამარაგო ავზების რეცხვა-დეზინფექციის კონკრეტული მეთოდები და არ არის მითითებული ამ პროცესებისათვის საჭირო სადეზინფექციო საშუალებები; ერთმანეთს ეწინააღმდეგება პროცედურის აღწერისა და მონიტორინგის გრაფების შინაარსი, კერძოდ, პროცედურის აღწერაში მითითებულია, რომ სასმელი წყლის გაუვნებლობა და ავზების რეცხვა-დეზინფექცია ტარდება დაწესებულების მიერ საკუთარი ძალებით, ხოლო მონიტორინგში მითითებულია, რომ სასმელი წყლის გაუვნებლობა ხორციელდება კერძო კომპანიის მიერ; გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე უნდა დადგინდეს სასმელი წყლის გაუვნებლობის არასრულყოფილება და სამარაგო ავზის რეცხვა-დეზინფექციის დარღვევის შემთხვევები, რა დროსაც უნდა განხორციელდეს მაკორექტირებელი ქმედებები; ვერიფიკაციის პროცედურები ვერ უზრუნველყოფენ გატარებული ღონისძიებების რეალურ დადასტურებას - სასმელი წყლის გაუვნებლობისა და ავზის რეცხვა-დეზინფექციის ეფექტურობას; სასმელი წყლის გაუვნებლობისა და სამარაგო ავზის რეცხვა-დეზინფექციის სოპ-ი N 3 არ არის ხელმოწერილი და დამტკიცებული დაწესებულების მიერ, არ არის მითითებული კონკრეტულ ქმედებებზე (პროცედურის აღწერა, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ქმედება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაცია/ჩანაწერების წარმოება/შენახვა და სხვა) პასუხისმგებელი პირები (სახელის და გვარის მითითებით); ერთმანეთს არ ემთხვევა სოპ-ისა და დანართის ნუმერაცია; პერსონალი არ იცნობს სოპ-ში მითითებულ წესებს; სოპ-ის დანართში მოცემულია სასმელი წყლის გაუვნებლობისა და სამარაგო ავზების რეცხვა-დეზინფექციის ჟურნალები შაბლონის სახით, მაგრამ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული შესაბამისი ჟურნალები. 4.2 წყალმომარაგება მუდმივია და დაწესებულება მარაგდება საჭირო რაოდენობის სასმელი წყლით, რომელიც ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისა და პერსონალისთვის. ცხელი წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით დამონტაჟებულია წყლის გამათბობელი ელექტრო დანადგარები (ელექტრო ავზი) სამზარეულოსა და სან-კვანძებში. 4.3 ბავშვებისათვის სასმელი წყლის მიწოდება ხდება წყლის კონტეინერების მეშვეობით - შუშის დოქებით, რომელიც არ არის განთავსებული იატაკზე, გათვალისწინებულია მათი რეცხვა ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით (სოპ-ი N 2). სასმელი წყლის კონტეინერს არ აქვს თავსახური. სასმელი წყლის კონტეინერის რეცხვის სოპ-ი (N 2) არ არის დამტკიცებული დაწესებულების მიერ, არ არის ხელმოწერილი, არ არის მითითებული კონკრეტულ ქმედებებზე (პროცედურის ჩატარება, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ღონისძიება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაციის წარმოება/შენახვა, სოპ-ის გადახედვა) პასუხისმგებელი პირები (სახელითა და გვარით); პერსონალი იცნობს და იცავს სოპ-ის წესებს. 4.4 სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის გამოყენებული სასმელი წყალი არ აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის" მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება დაწესებულებაში გამოყენებული სასმელი წყლის ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევებით (მტკიცებულებები - ს. ქედლების საბავშვო ბაღის სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოცდის ოქმები: N 2225, 06.10.2025 წ; გამოცდის ოქმი N 5167, 01.10.2018 წ; გამოცდის ოქმი N 7239, 25.12.2017 წ). ყველა აღნიშნული კვლევების მიხედვით სასმელ წყალში ფიქსირდება როგორც სანიტარიული დაბინძურების მაჩვენებელი მიკრობები (მეზოფილური აერობული და ფაკულტატური ანაერობული მიკრობები), ასევე პათოგენური მიკრობები (საერთო კოლიფორმული ბაქტერიები, ნაწლავის ჩხირი E.coli და ენტეროკოკები Enterococci); 4.5 დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციის სისტემით - ნახმარ-ნარეცხი წყლები და საკანალიზაციო სითხეები ჩაედინება დაწესებულების კუთვნილ სეპტიკურ ავზში, რომელიც წარმოადგენს კაპიტალურად ჩამოსხმულ ბეტონის ავზს თავსახურით; 4.6 დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების არინება, თუმცა შენობას არ გააჩნია ჟოლობები - სახურავიდან წვიმის წყალი არ გროვდება ერთიან სისტემაში და ჩაედინება შენობის მთელი პერიმეტრის ტერიტორიაზე; 4.7 დაწესებულების საკანალიზაციო სისტემა მიერთებულია სეპტიკურ ავზთან, რომელიც წარმოადგენს კაპიტალურად ჩამოსხმულ ბეტონის თავდახურულ ავზს წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით. დათვალიერებისას დადგინდა, რომ სეპტიკური ავზის თავსახურზე განთავსებულია სამშენებლო რკინის | 4.1 სასმელი წყლის გაუვნებლობისა და სამარაგო ავზის რეცხვა-დეზინფექციის სოპ-ი N 3-ში პროცედურის აღწერაში საკმარისად უნდა იქნას მითითებული ინფორმაცია წყალმომარაგების წყაროსა და სამარაგო ავზების შესახებ, წარმოდგენილი იქნას სასმელი წყლის გაუვნებლობისა და სამარაგო ავზების რეცხვა-დეზინფექციის კონკრეტული მეთოდები და მითითებული იქნას ამ პროცესებისათვის საჭირო სადეზინფექციო საშუალებები; სოპ-ის პროცედურის აღწერისა და მონიტორინგის გრაფების შინაარსი უნდა იყოს თანხვედრაში; უნდა იქნას განსაზღვრული კონკრეტული საფუძვლები, რის მიხედვითაც უნდა დადგინდეს სასმელი წყლის გაუვნებლობის არასრულყოფილება და სამარაგო ავზის რეცხვა-დეზინფექციის დარღვევის შემთხვევები, რა დროსაც უნდა განხორციელდეს მაკორექტირებელი ქმედებები; ვერიფიკაციის პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს გატარებული ღონისძიებების რეალური დადასტურება - სასმელი წყლის გაუვნებლობისა და ავზის რეცხვა-დეზინფექციის ეფექტურობა; სასმელი წყლის გაუვნებლობისა და სამარაგო ავზის რეცხვა-დეზინფექციის სოპ-ი N 3 უნდა იქნას ხელმოწერილი და დამტკიცებული დაწესებულების მიერ, მითითებული იქნას კონკრეტულ ქმედებებზე (პროცედურის აღწერა, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ქმედება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაცია/ჩანაწერების წარმოება/შენახვა და სხვა) პასუხისმგებელი პირები (სახელის და გვარის მითითებით); პერსონალი უნდა იცნობდეს და იცავდეს სოპ-ში მითითებულ წესებს; შემუშავებული უნდა იქნას სასმელი წყლის გაუვნებლობისა და სამარაგო ავზების რეცხვა-დეზინფექციის ჟურნალები სოპ-ის დანართში მოცემული შაბლონების მიხედვით. 4.3 სასმელი წყლის კონტეინერს უნდა ჰქონდეს თავსახური. სასმელი წყლის კონტეინერის რეცხვის სოპ-ი (N 2) უნდა იქნას დამტკიცებული დაწესებულების მიერ, ხელმოწერილი და მითითებული კონკრეტულ ქმედებებზე (პროცედურის ჩატარება, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ღონისძიება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაციის წარმოება/შენახვა, სოპ-ის გადახედვა) პასუხისმგებელი პირები (სახელითა და გვარით). 4.4 სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის გამოყენებული სასმელი წყალი უნდა აკმაყოფილებდეს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის" მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც უნდა დასტურდებოდეს დაწესებულებაში გამოყენებული სასმელი წყლის ლაბორატორიული (მიკრობიოლოგიური) კვლევებით; 4.7 სეპტიკური ავზის თავსახურიდან მოშორებული უნდა იქნას სამშენებლო რკინის ხარაჩოები. სოპ-ი N 04 უნდა იქნას ხელმოწერილი და დამტკიცებული დაწესებულების მიერ, მითითებული კონკრეტულ ქმედებებზე (პროცედურის აღწერა, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ქმედება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაცია/ჩანაწერების წარმოება/შენახვა და სხვა) პასუხისმგებელი პირები (სახელის და გვარის მითითებით); ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს სოპ-ისა და დანართის ნუმერაცია; დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს სეპტიკური ავზის დაცლისა და დამუშავების ჟურნალი სოპ-ის დანართში მითითებული შაბლონის მიხედვით. | რჩევის სახით რეკომენდირებულია, რომ დაწესებულებაში წვიმის წყლების ეფექტური არინებისათვის მოწყობილი იქნას წვიმის წყლების შემგროვებელი სისტემა ჟოლობების სახით, რათა სახურავიდან ატმოსფერული ნალექები არ ჩაედინებოდეს შენობის მთელი პერიმეტრის ტერიტორიაზე. რეკომენდირებულია, რომ სოპ-ში გამოყენებული იქნას და საფუძველში მითითებული ტექნიკური რეგლამენტი ადგილობრივი წყალმომარაგების სასმელ-სამეურნეო წყლის დამუშავებისა და წყალსადენის ნაგებობის დეზინფექციის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N 62 დადგენილება). | შეფასების ინდიკატორი: ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალარინებისადმი - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 24 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება ნაწილობრივი შეფასებით. შეფასების ინდიკატორი: მოთხოვნები კანალიზაციისადმი - დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის აქტივობებს. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობების სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით. |
| | დაწესებულებას გააჩნია სასმელი წყლით მომარაგების მოქმედი სისტემა შენობის შიგნით ან შენობის სიახლოვეს, რომლის მეშვეობით მარაგდება საჭირო რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყლით და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და პერსონალისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის (WASH ინდიკატორი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის ბავშვებისთვის მიწოდება ხდება: | | | | | | | | |
| | ა) წყლის კონტეინერის საშუალებით | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბ) წყლის დისპანსერის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გ) წყლის შადრევნის საშუალებით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყლის კონტეინერის საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1. წყლის კონტეინერი ყოველდღიურად ან ყოველი დაცლისას ირეცხება, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით; 2) წყლის კონტეინერს აქვს თავსახური; 3) წყლის კონტეინერი არ დგას იატაკზე | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყლის დისპენსერების საშუალებით გამოყენებისას დაცულია შემდეგი პირობები: 1) ხელმისაწვდომია ერთჯერადი გამოყენების ჭიქები; 2) წყლის დისპენსერის ავზი პერიოდულ ირეცხება და უტარდება დეზინფექცია, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით; | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასმელი წყლის წყაროდ არტეზიული ჭის არსებობის შემთხვევაში, ის აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: ა) დაცულია გარედან რაიმე სახის დაბინძურებისაგან ბ) განთავსებულია არანაკლებს 30მ დაშორებით დაბინძურების ნებისმიერი წყაროდან გ) არ ხდება პესტიციდების გამოყენება ჭიდან 100მ რადიუსში დ) ჭა მოწმდება სტრუქტურული მთლიანობის დასადგენად, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით და წარმოებული სამუშაოების დოკუმენტირების სისტემით ე) ჭას აქვს ღობე ცხოველებისგან დასაცავად ვ) ჭის გარშემო მოწყობილია სადრენაჟო სისტემა ზედაპირული და დაღვრილი წყლით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ზ) წყლის ამოსაღები სათლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სუფთად ინახება თ) ჭა ჩაკეტილი და თავდახურულია | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სასმელი, საკვების მოსამზადებელი, პირადი ჰიგიენის, დასუფთავებისა და რეცხვისათვის განკუთვნილი წყალი უსაფრთხოა და აკმაყოფილებს "სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ მოთხოვნებს (WASH ინდიკატორი), რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით | ☐ | ☐ | ☒ | ☐ | [illegible] ხარაჩოები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს წინასწარგანსაზღვრული წესი სეპტიკური ავზის დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურით სოპ-ი N 04, დანართი N 5. სოპ-ი არ არის ხელმოწერილი და დამტკიცებული დაწესებულების მიერ, არ არის მითითებული კონკრეტულ ქმედებებზე (პროცედურის აღწერა, მონიტორინგი, მაკორექტირებელი ქმედება, ვერიფიკაცია, დოკუმენტაცია/ჩანაწერების წარმოება/შენახვა და სხვა) პასუხისმგებელი პირები (სახელის და გვარის მითითებით); ერთმანეთს არ ემთხვევა სოპ-ისა და დანართის ნუმერაცია. სოპ-ის დანართში მოცემულია სეპტიკური ავზის დაცლისა და დამუშავების ჟურნალი შაბლონის სახით, მაგრამ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული შესაბამისი ჟურნალი. | [illegible] | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია კანალიზაციით | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ნახმარი წყლების მოცილება/არინება (წვიმის წყლის, რეცხვისა და ხელსაბანი წყლის, სასმელი წყლის და ა.შ. არინება) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის დროს, ცხელი წყლით უზრუნველყოფილია კვების ბლოკი (სამზარეულო კერძების მოსამზადებელი და სამრეცხაო ზონით), სანკვანძ(ებ)ი და სამრეცხაო (არსებობის შემთხვევაში) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასახლებულ პუნქტში წყალმომარაგებისა და წყალარინების ცენტრალიზებული სისტემის არ არსებობის შემთხვევაში დაწესებულების კანალიზაციის სისტემა მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან/სეპტიკურ ავზთან შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: ა) გარე სანიტარიულ კვანძს გააჩნია საასენიზაციო ორმო/სეპტიკური ავზი წყალგაუმტარი ფსკერით, კედლებითა და სახურავით ბ) სან.კვანძის სავენტილაციო მილს აქვს მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადე გ) სან.კვანძს აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება დ) სან.კვანძს აქვს ფუნქციური ხელსაბანი ე) აქვს სან.კვნძთან მისასვლელი მოკირწყლული ბილიკი ვ) დაწესებულებას აქვს წინასწარგანსაზღვრული წესი მათი დაცლისა და დამუშავების პროცედურასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურითა და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემით | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სანიტარიული კვანძი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ მდებარეობს დაწესებულების შენობის მომიჯნავედ. სანიტარული კვანძის დაშორება ჭებისა და წყალმომარაგების წყაროების კაპტაჟებიდან შეადგენდეს არანაკლებ 30 მ-ს. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივი წყლის მიწოდების არ არსებობის შემთხვევაში, დამონტაჟებულია სამარაგე ავზი სანიტარიული კვანძების წყალმომარაგების მიზნით. სამარაგე ავზში შეგროვებული ბუნებრივი ნალექები ან სხვა ტიპის ტექნიკური წყალი გამოიყენება მხოლოდ ტუალეტების ჩასარეცხად, ეზოს/გარე სივრცის დასუფთავებისა და მორწყვისთვის, სახანძრო უსაფრთხოების სისტემებში და სამშენებლო და სარემონტო სამუშაობის წარმოებისას. ტექნიკური წყალი არ გამოიყენება სასმელად, საკვების მოსამზადებლად, პირადი ჰიგიენისთვის, დასუფთავებისა და რეცხვისთვის. ტექნიკური წყალი ბავშვებისთვის ხელმიუწვდომელია, რაც ექვემდებარება კონტროლს დაწესებულების მხრიდან | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **5** | **მოთხოვნები სითბურ-საჰაერო რეჟიმისადმი** | | | | | | | | |
